პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კ.

სამშაბათი, 6 ოქტომბერი 1936 წ. № 232 (4731)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

- — კომუნისტების აღრიცხვა (მოწინავე)
- — მშვიდობიანობის ეფექტური პოლიტიკისათვის („პრავდის" მოწინავედან)
- — ჭიათურასა და სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მისალმებანი
- — მესამე საბჭოთა გემი სურსათით ესპანეთის ქალთა და ბავშვთათვის
- — ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის მონაწილეთა გასამართლება
- — სტალინური კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვა
- — ი. ბეჟვაია — პარტმუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზით (ფელეტონი)
- — ელ. პოლუმორდვინოვი — ადათის დასასრული (ფელეტონი)
- — სანდრო ეული — [illegible] (ლექსი)
- — მიხ. ჯავახიშვილი — [illegible]
- — ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა
- — „საბჭოთა კავშირი — [illegible] სახელმწიფო"

კომუნისტების აღრიცხვა

ორგანიზაციულ საკითხებს და სანიმუშოდ დაყენებულ პარტიულ აპარატს, პარტიულ ტექნიკას ლენინ-სტალინის დიადი პარტია ყოველთვის აქცევდა და აქცევს განსაკუთრებულ, გამახვილებულ ყურადღებას.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციული მუშაობის, პარტიული ტექნიკისა და პარტიული აპარატის მოწესრიგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის პოლიტიკური მუშაობის სწორად წარმართვისათვის. „ჩვენმა პარტიამ, ამბობდა ლენინი,—ახლა აუცილებლად ისე უნდა გააუმჯობესოს ორგანიზაციული აპარატი, ისე დააყენოს პარტიის ყველა წევრის აღრიცხვა, რომ შესაძლებელი იყოს ახლანდელი მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა უკეთესისაკენ"...

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „იმის შემდეგ, რაც მოცემულია სწორი ხაზი, მას შემდეგ, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაწყვეტა, საქმის წარმატება დამოკიდებულია საორგანიზაციო მუშაობაზე, ბრძოლის ორგანიზაციაზე პარტიის ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის, ადამიანების სწორად შერჩევაზე, ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე. უამისოდ პარტიის ხაზი და სწორი გადაწყვეტილებები შეიძლება სერიოზულად დაზარალდეს. კიდევ მეტი: მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი,— საორგანიზაციო მუშაობა სწყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბედსაც, — მის შესრულებას, ან მის ჩაშლას".

მიუხედავად იმისა, რომ პარტიული მშენებლობის საკითხებში ორგანიზაციულ მუშაობას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, ხოლო კომუნისტების აღრიცხვა ორგანიზაციულ პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო და არის, — პარტიული დოკუმენტების შემოწმებამდე და გამოცვლამდე ამ მხრივ ბევრს პარტიულ ორგანიზაციაში ნამდვილი ქაოსი სუფევდა.

განა შესაწყნარებელი იყო ისეთი მდგომარეობა, რომ პარტიული ხელმძღვანელები კომუნისტების აღრიცხვას, პარტიის ახალი წევრების მიღებას, პარტდოკუმენტების გაცემას და საწევრო შესატანის შეკრებას მეორეხარისხოვან მუშაკებს ანდობდნენ, რითაც ხშირად სარგებლობდნენ ჩვენი პარტიის მტრები და არამზადები?

პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის შემდეგ, მართალია, მოწესრიგდა „პარტიული მეურნეობა", კერძოდ კომუნისტების აღრიცხვა, მაგრამ ეს როდი კმარა.

კომუნისტების აღრიცხვა უნდა მოეწყოს სანიმუშოდ, პარტიული ტექნიკა უნდა დავაყენოთ სანიმუშოდ. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ განუხრელად განვახორციელებთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ მიმდინარე წლის 21 ივნისს დამტკიცებულ ინსტრუქციას პარტიის წევრებისა და კანდიდატების აღრიცხვის შესახებ.

კომუნისტების აღრიცხვის ახალ სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თვით ეს სისტემა ავალებს პარტიულ ხელმძღვანელს (რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის მდივანს) პრაქტიკულად ჩასწვდეს საღრიცხვო მუშაობის ყველა დეტალს, მჭიდროდ დაუკავშირდეს თვითეულ კომუნისტს, შეისწავლოს მათი მუშაობა, მომზადება (ცვლილებები), პირადად მიიღოს და მოხსნას აღრიცხვიდან კომუნისტები, უშუალოდ უხელმძღვანელოს საღრიცხვო ბარათებში დამატებითი ჩანაწერის შეტანას, შეისწავლოს სტატისტიკური ანგარიშები.

ახალი ინსტრუქციის თანახმად კომუნისტთა პერსონალური აღრიცხვა ერთიანი ბილეთის საფუძველზე ახლა თავს იყრის მხოლოდ პარტიის რაიკომებში და საქალაქო კომიტეტებში.

ახალი ინსტრუქცია აწესებს კომუნისტების ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის გარკვეულ წესს. კომუნისტს მხოლოდ მაშინ შეუძლია წავიდეს ორგანიზაციიდან, როდესაც მიიღებს ქალაქკომის ან რაიკომის მდივნის ნებართვას. თვითნებურად წასული კომუნისტი, რომელიც არ მოიხსნება აღრიცხვიდან, ჩაითვლება პარტიიდან მექანიკურად გასულად.

ახალი ინსტრუქციის საფუძველზე ძირეულად იცვლება პარტიული სტატისტიკის მთელი სისტემაც. კვარტალური ანგარიშების ნაცვლად შემოღებულ იქნება ყოველთვიური ანგარიში პარტორგანიზაციის შემადგენლობის, პარტიაში ახლად მიღებულთა შემადგენლობის შესახებ და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილების თანახმად, პარტიის ყველა რაიკომში და ქალაქკომში წესდება აღრიცხვის გამგის თანამდებობა, ხოლო მრავალრიცხოვან პარტორგანიზაციის რაიკომებში შემოღებულ იქნება ერთი ან ორი აღმრიცხველი.

კომუნისტების აღრიცხვის ახალი წესის დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი პრაქტიკულად განხორციელების შედეგად, პარტორგანიზაციის რიგები დაცული იქნება უცხო და მტრულ ელემენტების შეპარვისაგან. სანიმუშოდ იქნება დაყენებული მუშაობა თვითეულ კომუნისტთან, უკეთ მოეწყობა პარტიული ძალების განაწილება, მუშაკთა შესაფერ სამუშაოზე წამოყენება. ამით კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანთ მთლიანად პარტიულ მუშაობას.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დროულად გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ კომუნისტების აღრიცხვის შესახებ დამტკიცებული ინსტრუქციისა და დადგენილების განსახორციელებლად. ოლქკომებში, ქალაქკომებში და რაიკომებში შერჩეული და დამტკიცებულნი არიან აღრიცხვის მუშაკები. 60 აღრიცხვის მუშაკმა გაიარა მოკლევადიანი კურსები; რაიკომები და ქალაქკომები უზრუნველყოფილნი არიან აღრიცხვის ახალი ფორმებით; ტფილისის კომიტეტი და რაიკომების უმრავლესობა უკვე შეუდგა კომუნისტების აღრიცხვის ახალი სისტემის განხორციელებას. მაგრამ ამით არ მთავრდება მუშაობა.

ამოცანა ახლა ისაა, რომ კომუნისტებს შორის პარტიულმა ორგანიზაციებმა ჩაატარონ სერიოზული ახსნა-განმარტებითი მუშაობა პარტიული აღრიცხვის ახალი სისტემის შესახებ. ყველა კომუნისტმა საფუძვლიანად შეისწავლოს ახალი ინსტრუქცია, განუხრელად განახორციელოს ცხოვრებაში, რათა წარმატებით შევასრულოთ ჩვენი პარტიის, ხალხთა გენიოს ბელადის, დიდი სტალინის მითითება ორგანიზაციულ - პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისა და ბოლშევიკური წესრიგის დამყარების შესახებ ჩვენს საკუთარ „პარტიულ სახლში".

ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის მონაწილეთა გასამართლება

აშხაბადი, 4 ოქტომბერი. თურქმენთა სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ დაიწყო ყოფილ აქტიურ თეთრგვარდიელთა — ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის მონაწილეთა — ა. ი. იაკუბანისა და ვ. ი. ზიმნიცკის საქმის გარჩევა. ყოფილი პორუჩიკი იაკუბანი იყო დაზვერილი ასეულის უფროსი, შემდეგ კრასნოვოდსკის სადგურის კომენდანტი, მონაწილეობას იღებდნენ ბაქოს 26 კომისრის შეპყრობასა, დაპატიმრებასა და დახვრეტის ადგილისაკენ გაგზავნაში. ყოფილი შტაბს - კაპიტანი ზიმნიცკი, კრასნოვოდსკის კომენდანტის უფროს ადიუტანტად ყოფნის დროს, აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1919 წლის შემოდგომაზე იაკუბანი და ზიმნიცკი მონაწილეობას იღებდნენ 7 ლენქორანელი ბოლშევიკის დახვრეტაში იყვნენ კონტრდაზვერვის აგენტები და კავშირი ჰქონდათ ინტერვენტებთან, ამიერ-კასპიის მხარეში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ზიმნიცკი და იაკუბანი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში იმალებოდნენ (საქტს).

◇ ◇ ◇

მევენახეთა კონფერენცია თელავში

(ტელეფონით ჩვენი საკუთ. კორესპონდენტისაგან)

5 ოქტომბერს თელავში გაიხსნა კონფერენცია მევენახეობის საკითხებზე. კონფერენცია მოკლე სიტყვით გახსნა რაიმიწგანის გამგემ ამხ. კოხტაშვილმა. მევენახეობის საკითხებზე შინაარსიანი მოხსენება გააკეთა საქ. კ.პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანმა ამხ. კარსანიძემ. მომხსენებელი შეეხო ვენახების არსებულ მდგომარეობას რაიონში, ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ზოგიერთ კოლმეურნეობაში ვხვდებით, და შეეხო კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს მევენახეობის ხუთწლიანი გეგმის ბრწყინვალედ შესრულებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თელავის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანები ვენახების ფართობის გადიდების, მოსავლიანობის აწევისა და ხარისხოვანი ღვინის გამოშვების დარგში გვავალებს მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ ამ ფრიად პასუხსაგებ სამუშაოს.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამხ. ლავრენტი ბერიას საბრძოლო დავალება მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება 1940 წლისათვის ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურძნის მიღების შესახებ გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მევენახეობა - მეღვინეობის სპეციალისტებმა, კოლმეურნე სტახანოველებმა და სხვ.

დასასრულ, კონფერენციამ მისალმებით მიმართა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკთა მტკიცე ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას.

ან. ყურუა.

◇ ◇ ◇

საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია

ორჯონიკიძე, 4 ოქტომბერი. საქართველოს სამხედრო გზის ზოგიერთ უბანზე ხდება გზის რეკონსტრუქცია. გზა სწორდება. ჯვრის უღელტეხილზე მას აფართოვებენ. გზის თავზე გადმოკიდებულ კლდეებს აფეთქებენ. ააფეთქეს ცნობილი კლდე „ღმერთო გამატარე" (საქტს).

ხალხთა დიდ ბელადს—ამხანაგ სტალინს

ჩვენ, ჭიათურის მაღაროელნი და მშრომელნი, შევიკრიბენით რა მიტინგზე, რათა ძმური სოლიდარობა გამოვუცხადოთ ესპანეთის გმირ ხალხს, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გითვლით თქვენ, სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებათა უდიდეს ორგანიზატორს, საბჭოთა ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრების შემქმნელს, ჩვენს მამას, მასწავლებელს, ბელადს.

გამხეცებული ფაშისტები, პირსისხლიანი [illegible] გამალებით უმზადებენ მშრომელ კაცობრიობას ახალ იმპერიალისტურ ომს და მონობის საშინელ უღელს ადგამენ მშრომელებს. ამ დროს საბჭოების ქვეყანა, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ძლევამოსილად მიაბიჯებს წინ ბედნიერი და ხალისიანი ცხოვრებისაკენ.

საბჭოთა ქვეყნის ხალხებმა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად განვლეს სამოქალაქო ომისა და გაჭირვების მძიმე წლები და თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით შექმნეს სახიარულო ცხოვრება. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გავაცამტვერეთ ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ბანდის ნაძირალები, გესტაპოს აგენტები, რომელთაც გაბედეს და აღმართეს თავიანთი ბინძური ხელი ჩვენი ბელადების წინააღმდეგ.

ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის დიად ხალხთან ერთად, მრისხანედ ვაცხადებთ, რომ ასევე დაუნდობლად გავსრესთ ყველა იმას, ვინც შეეცდება ხელი შეგვიშალოს სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობაში.

სოციალისტური ქვეყნის ქალებსა და ვაჟებს არ შეგვიძლიან გულგრილად ვუყურებდეთ მოძმე ესპანელების გმირულ ბრძოლას გამხეცებულ ფაშისტ მეამბოხეთა წინააღმდეგ. მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ძმური სოლიდარობისა და დახმარების ხელს ვუწვდით ესპანელ მებრძოლებს და სიხარულით ვიღებთ ჩვენს წვლილს მათთვის ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად.

ძვირფასო სტალინ! მიიღეთ ჭიათურელ მაღაროელთა მხურვალე სალამი და უსაზღვრო სიყვარული!

გაუმარჯოს მშრომელი კაცობრიობის ბრძენ ბელადს—დიდ სტალინს!

ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს — ასანიას
ესპანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კაბალიეროს
ესპანეთის პარლამენტის დეპუტატს — დოლორეს იბარურის (პასიონარიას)

ორდენოსანი საქართველოს შავი ოქროს რაიონის — ჭიათურის მაღაროელთა და მშრომელთა 5-ათასიანი მიტინგი მხურვალე სალამს უძღვნის ესპანეთის გმირულად მებრძოლ ხალხს, რომელიც თავდადებით იცავს თავის დემოკრატიულ რესპუბლიკას სისხლისმსმელ ფაშისტ მეამბოხე გენერალთა ბანდებისაგან.

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ იმ ვაჟკაცური და მედგარი ბრძოლით, რომელსაც ესპანეთის ხალხი ეწევა ფაშისტ-მეამბოხეთა და მათ ხელის შემწყობ —გერმანელ და იტალიელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

ძმურ სოლიდარობას ვუცხადებთ ესპანეთის გმირ ხალხს, გაერთიანებულს სახალხო ფრონტად ნაციონალური მთავრობის ხელმძღვანელობით.

გვწამს, რომ ესპანელი ხალხი შესძლებს დაამარცხოს რევოლუციურ კაცობრიობის უბოროტესი მტრები—ფაშისტური ბანდები.

ესპანელ ხალხს მძიმე პირობებში უხდება ბრძოლა. მაგრამ სიმართლე და ისტორია მის მხარეზეა. ფაშიზმი, კაცობრიობის ეს უსაზარლესი და უმახინჯესი მტერი, ძლეული იქნება, ხალხი გაიმარჯვებს.

ჩვენ, ჭიათურის მშრომელნი მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად სულით და გულით ესპანეთის გმირ ხალხთან ვართ. უდიდესი სიამოვნებით ვიღებთ წვლილს ესპანელი რევოლუციონერთა ბავშვებისა და ქალების დასახმარებლად.

არ შედრკეთ ესპანელო გმირებო! თქვენი გამარჯვება რევოლუციური კაცობრიობის გამარჯვებაა.

ესპანელო ძმებო და დებო! მიიღეთ ჩვენი პროლეტარული დახმარება და მხურვალე სალამი!

ძირს სისხლისმსმელი ფაშისტი მეამბოხენი!

გაუმარჯოს გმირ ესპანელ ხალხს!

სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი—ამხანაგ სტალინს

ჩვენ, სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი, შევიკრიბეთ რა გმირი ესპანელი ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგზე, მხურვალე სალამს გიძღვნით და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ თქვენ, ჩვენს მამასა და მასწავლებელს, ხალხთა დიდ ბელადს.

სისხლისმსმელი ფაშიზმი გამალებით ამზადებს ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას. ფაშიზმი დაუზოგავად სპობს კაცობრიობის საუკეთესო ძალებს, შიმშილსა და სიღატაკეს განუმზადებს მშრომელთა მილიონებს. კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართა მოსპობით ფაშიზმი ცდილობს უკან, შუასაუკუნოებრივობის ბნელ ეპოქისაკენ შეაბრუნოს ისტორია.

ჩვენი ბედნიერი სამშობლოს მშრომელნი, დიდი საბჭოთა კავშირის ხალხნი, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას აშენებენ.

დიდი ბედნიერებაა ცხოვრობდე ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში. მძლავრ ნაკადად მიიწევს წინ მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმი. დღითიდღე უფრო დიდებულად იფურჩქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად, აშენებენ შეძლებულ, კულტურულ ცხოვრებას.

სამხრეთ-ოსეთის ათასობით ბედნიერი კოლმეურნენი და კოლმეურნე-ქალნი თავის ძმურ სოლიდარობას უცხადებენ გმირ ესპანელ ხალხს.

ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ, რომ სამხრეთ-ოსეთის ყველა მშრომელი პირველი მოწოდებისთანავე როგორც ერთი კაცი, აღდგება სამშობლოს დასაცავად. ჩვენ გავსრესთ ყოველ ქვემძრომს, რომელიც კი შეეცდება თავს დაესხას ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ გადმოგცეთ ჩვენი უსაზღვრო სიყვარული, გიამბოთ, რომ თქვენი სიცოცხლე—ეს ჩვენი სიცოცხლეა, ჩვენი სიხარული და ბედნიერებაა, რომელსაც ჩვენ თვალისჩინივით დავიცავთ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ჩვენს ძვირფას სტალინს! (საქტს).

◇ ◇ ◇

საქართველოს მშრომელთა სოლიდარობის მიტინგები

ძმური სოლიდარობის მიტინგი ხაშურში

ხაშური, 5 ოქტომბერი. ათასობით მოვიდნენ მუშები, მუშა-ქალები, მოსამსახურენი, მასწავლებლები, მოწაფეები და დიასახლისები 4 ოქტომბერს საერთოსაქალაქო მიტინგზე, რათა გამოეთქვათ მხურვალე სიმპატია გმირი ესპანელი ხალხისადმი და მზადყოფნა—გაეწიონ მას ძმური დახმარება. მიტინგზე მოვიდნენ აგრეთვე სოფ. ოსიაურის, ცხრამუხის, ტიზერას, სურამის რკინისა, კოცხნარის კოლმეურნენი. საკუთარი ავტომობილით მოვიდნენ კოლმეურნეობა „განათლების" კოლმეურნენი, თავისი თავმჯდომარის ორდენოსანი ელენე დავაძის მეთაურობით.

ხაშურის ახალი მოედანი მორთულია ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით, ლოზუნგებითა და პლაკატებით.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან საწარმოთა და კოლმეურნეობათა სტახანოველები, მასწავლებლები. დიასახლისები, პიონერები.

ელექტრომავალთა დეპოს სტახანოველი ამხ. კვირია დეპოს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნის ესპანელ ხალხს, რომელიც იბრძვის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის. დეპოს კოლექტივმა ესპანეთის ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად 6 ათასი მანეთი შეაგროვა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს კოლმეურნე ნატა ლობჟანიძის სიტყვა. მან სთქვა: „ჩვენ ვამაყობთ ჩვენი დებით, გმირი ესპანელი ქალებით, რომლებიც თავის ქმრებთან და შვილებთან ერთად იბრძვიან გამხეცებული ფაშისტების წინააღმდეგ. დოლორეს იბარურის სახელს მოწიწებით იხსენიებენ ჩვენი კოლმეურნენი. შეგვაქვს ჩვენი წვლილი ესპანეთის ქალების და ბავშვების დამხმარე ფონდში და მოვუწოდებთ ხაშურის რაიონის ყველა კოლმეურნეს — მიბაძონ ჩვენს მაგალითს".

ტრიბუნაზეა პიონერი ლენა ავდეშევა. მიესალმება რა ესპანეთის მებრძოლთ. იგი მოუწოდებს პიონერებს დახმარება გაუწიონ ესპანელ ბავშვებს.

მიტინგმა 7 ათასი მონაწილის სახელით მისალმება გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს, აგრეთვე გმირ ესპანელ ხალხს (საქტს).

ჭიათურის მშრომელთა მიტინგი

ჭიათურა, 4 ოქტომბერი. ჭიათურის 5 ათასზე მეტმა მუშამ და კოლმეურნემ მოაწყო დღეს თავი ფიზკულტურის მოედანზე თავისი სოლიდარობის გამოსაცხადებლად ესპანეთის ხალხისათვის, რომელიც გმირულად იბრძვის ფაშისტ მეამბოხეთა წინააღმდეგ.

მიტინგი გახსნა მაღაროების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ხვედელიძემ. ესპანეთის ხალხის თავდადებული ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. პატარაიამ.

სიტყვებით გამოვიდნენ: სტალინის სახელობის მაღაროს ორდენოსანი სტახანოველი ვ. სამხარაძე, სტახანოველები ტ. ფოფხაძე და კ. წერეთელი, მასწავლებელი ანიკო ბაქრაძე, ინჟ. კოპალეიშვილი, ქ. ფხალაძე, კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ბრეგვაძე და სხვ.

მიტინგმა მისალმება გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და ესპანეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს — პრეზიდენტ ასანიას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კაბალიეროს და ესპანეთის პარლამენტის დეპუტატს — დოლორეს იბარურის.

დიდი მიტინგი ბორჯომში

ბორჯომი, 4 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს ბორჯომში შედგა ესპანეთის ხალხის სოლიდარობის მიტინგი, რომელსაც ხუთი ათასზე მეტი მშრომელი დაესწრო. მიტინგმა მხურვალე სალამი უძღვნა და სოლიდარობა გამოუცხადა ესპანეთის ხალხს, რომელიც იარაღით ხელში გმირულად იცავს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მედგარ ბრძოლას აწარმოებს ფაშისტ მეამბოხეთა და მათ უცხოელ ხელისშემწყობთა წინააღმდეგ.

მიტინგმა მისალმება გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და რესპუბლიკური ესპანეთის ხელმძღვანელებს — პრეზიდენტ ასანიას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლარგო კაბალიეროს და ესპანეთის პარლამენტის დეპუტატს დოლორეს იბარურის (პასიონარია).

— ჩვენ დარწმუნებული ვართ — ნათქვამია მისალმებაში, — რომ ერთიან სახალხო ფრონტში გაერთიანებული ესპანეთის ხალხი დაამარცხებს ყველა მტერს და უზრუნველყოფს თავისი სამშობლოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. (საქტს).

◇ ◇ ◇

მესამე საბჭოთა გემი სურსათით ესპანეთის ქალთა და ბავშვთათვის

ოდესა, 4 ოქტომბერი. დღეს ოდესის ნავთსადგურში დამთავრდა დატვირთვა მესამე საბჭოთა გემის „ზირიანინისა", რომლითაც სურსათი იგზავნება გმირული ესპანეთის ქალებსა და ბავშვებს. ტრუმში ჩალაგებულია 190 ათასი ფუთი ტვირთი. კერძოდ, იგზავნება 135 ათასი ფუთი ხორბალი, 40.500 ფუთი შაქარი, 375 ათასი ქილა ხორცის კონსერვი და 125 ათასი ქილა შედედებული რძე, ყავა და კაკაო.

ნავთსადგურში თავი მოიყარეს ოდესის საწარმოთა და ტრანსპორტის მუშებმა და მუშა-ქალებმა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებმა. რათა გაეცილებინათ მე-3 გემი საბჭ. კავშირის მშრომელთა სახსრებით ნაყიდი სასურსათო საჩუქრით.

ესპანეთის გმირ ხალხთან ძმური სოლიდარობითა და ფაშისტ ჯალათებისადმი ღრმა სიძულვილით გამსჭვალული მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს: ვოროვსკის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-ქალმა, ამხ. შრაიბმანმა, ებრაული თეატრის მსახიობმა ამხ. აბელევმა, იანვრის აჯანყების სახელობის ქარხნის მუშამ ამხ. ოლეშინსკიმ, ექიმმა ლევინსკიმ, რკინიგზელმა ამხ. ვინიცკიმ, საბაგირო ქარხნის მუშა-ქალმა ამხ. კოტოვამ და სხვ.

შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდნენ „ზირიანინის" კაპიტანი ამხ. ბორისენკო და გემის საუკეთესო სტახანოველი ამხ. ფილიპოვი.

— ჩვენ, „ნევისა" და „კუბანის" სტახანოველთა მსგავსად, ღირსეულად გავამართლებთ, — განაცხადეს მათ,—საბჭოების ქვეყნის მშრომელთა მაღალ ნდობას, რომელმაც მოგვანდო მივაწოდოთ სასურსათო დახმარება გმირ ესპანელ ხალხს.

მიტინგის შემდეგ გემი ნელნელა შორდება ნაპირს და მიემართება შორეული საპატიო რეისით (საქტს).

მთავრობის კრეისერ „ხაიმეს" მეზღვაურები ესალმებიან ქალაქ ბარსელონის მოქალაქეთ.

მშვიდობიანობის ეფექტური პოლიტიკისათვის

საერთაშორისო ამბების განვითარება, ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების მთელი სიმწვავე უაღრესი დამაჯერებლობით გვიჩვენებენ, თუ რამდენად სწორი და აქტუალურია ის მძლავრი მოწოდება მშვიდობიანობის სასარგებლო ეფექტური ბრძოლისაკენ, რომელიც 28 სექტემბერს გაისმა ამხ. ლიტვინოვის სიტყვაში ერთა ლიგის პლენუმზე...

...იმ ფაქტებმა, რომელთა აღნიშვნაც შეძლო მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა უკვე ამხ. ლიტვინოვის გამოსვლის შემდეგ, ერთხელ კიდევ დაადასტურეს უდიდესი მნიშვნელობა მისი სიტყვის ერთ-ერთი, ძირითადი თეზისისა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ერთა ლიგის „მოსაცდელ დარბაზად" გადაქცევის პოლიტიკას. პერტინაქსმა „ეკო დე პარიში" მართებულად აღნიშნა სწორედ ეს მხარე, რომელსაც ამხ. ლიტვინოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო...

სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში სულ უფრო და უფრო შავბედით ფორმებს ღებულობს. გერმანული „იუნკერსები" და იტალიური „კაპრონები" უფრო და უფრო ხშირად დაფრინავენ ღამ-ღამობით ესპანეთის რესპუბლიკის დედაქალაქის თავზე, მადრიდის თავზე, და თან მოაქვთ სიკვდილი და ნგრევა. ამავე დროს მაგიდის ქვეშ სდებენ ესპანეთის კანონიერი მთავრობის მემორანდუმს, რომელიც ამჟღავნებს იმ სისტემატურ დახმარებას, რომელსაც ფაშისტი ინტერვენტები უწევენ მეამბოხეებს. ევროპის უდიდესი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მშვიდობიანობისა და კოლექტიური უშიშროების დამცველის როლზე. ისეთი განცხადებით გამოდის, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნას ესპანელ მეამბოხეთა აგრესიულ ხელშემწყობთათვის მხოლოდ ხელსაყრელ განცხადებად. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბ-ნ იდენის პასუხი ინგლისელ ლეიბორისტთა ხელმძღვანელობის 1 ოქტომბრის დეპეშაზე (იხ. 4 ოქტომბრის „პრავდა"); ეს პასუხი გერმანელ, იტალიელ და პორტუგალიელ ინტერვენტებს საშუალებას აძლევს გვერდი აუარონ ნაკისრ ვალდებულებებს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

გერმანელი ფაშისტები ფართოდ იყენებენ ყველა იმ შესაძლებლობას რომლებსაც მის წინაშე შლის წინააღმდეგობის გაუწევლობის, დათმობისა და საქმის გაჭიანურების პოლიტიკა. ისინი არა თუ აძლიერებენ ესპანეთის რეაქციისადმი დახმარებას. თავიანთი დიპლომატიური აქტივობის მთელ ენერგიას იმაზე ხარჯავენ, რომ გასთიშონ მშვიდობიანობის მომხრეები ისეთი გზით, როგორიცაა უშიშროების ხელოვნურად დაყოფა „აღმოსავლეთის" უშიშროებად და „დასავლეთის" უშიშროებად, და ამით სოლი ჩაარჭონ ინგლისისა და საფრანგეთის შორის. შეიძლება ეჭვი არ შევეპაროს, რომ გერმანიაში კმაყოფილებით ჩაიკითხეს იდენის განცხადება, გაკეთებული ერთა ლიგის პლენუმზე და ნევილ ჩემბერლენის განცხადება მარგეიტში კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე — ინგლისი მზად არის დასდოს დასავლეთის პაქტი ისე, რომ ამავე დროს არ იზრუნოს აღმოსავლეთის უშიშროებაზე.

უშიშროების დაქუცმაცების სწორედ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი, როცა იგი ამბობდა, რომ რეგიონალური პაქტები არ უნდა განისაზღვროს ევროპის ცალკე კუთხეებით, არამედ უნდა მოიცვან ყველა ოლქი, რომლებიც საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, მთელი კონტინენტებიც კი...

მხოლოდ მშვიდობიანობის განუყოფლობის პრინციპის განხორციელებით შეიძლება ვაიძულოთ აგრესორი, რომ ხელი აიღოს დაპყრობის გეგმებზე, უვნებელვყოთ მისი მეცადინეობა ომის ატეხისა. მშვიდობიანობის მომხრეთა ძალები იმ შემთხვევაში, თუ ისინი აგრესორის წინააღმდეგ მთლიან ფრონტად გაერთიანდებიან, აღემატება ძალთა ყოველგვარ კომბინაციას, რომლის შექმნაც ომის გამჩაღებლებს შეუძლიათ. ამ აზრს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამხ. ლიტვინოვმა, რომელმაც გააცამტვერა ლეგენდა „აგრესორის უძლეველობის" შესახებ.

როცა მშვიდობიანობისათვის მებრძოლი ქვეყნების გაერთიანებულ ფრონტზე ლაპარაკობდა, ამხ. ლიტვინოვს მხედველობაში არ ჰქონდა რაიმე ბლოკებისა და კავშირების შექმნა, რომლებსაც ასე ფართოდ იყენებენ აგრესორი ქვეყნები.

„არა, — განაცხადა ამხ. ლიტვინოვმა, — მე არ მოვითხოვ ახალ ბლოკებს, მე მზადა ვარ დავკმაყოფილდე უკვე არსებული ბლოკით, რომელსაც ერთა ლიგა ეწოდება,— იმ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ბლოკით, რომლებიც ურთიერთთავდაცვის და ურთიერთდახმარების მიზნებით, არიან გაერთიანებულნი".

საბჭოთა კავშირი მომხრეა ერთა ლიგისა, მისი განმტკიცებისა, იმათგან განსხვავებით, ვინც ცდილობს თავი დაიზღვიოს აგრესორისაგან და გასწიროს სხვა ქვეყნების, პირველ რიგში, მცირე სახელმწიფოების უშიშროება. ჩვენ მომხრე ვართ ერთა ლიგის გაძლიერებისა, იმათგან განსხვავებით, ვინც ასუსტებს მას, ვინც აღფრთოვანებულია მოჩვენებითი ნეიტრალობით და ერთა ლიგას „მოსაცდელ დარბაზად" ხდის.

მაგრამ ერთა ლიგა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მშვიდობიანობის ნამდვილი მოსარჩლე და დამცველი, თუ იგი იმოქმედებს წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე, რომ მოუმზადებელს არ მოუსწრონ მას, რომ შესაძლო აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაცია ამომწურავად ითვალისწინებდეს მშვიდობიანობის მტრების ყოველგვარ მანევრს და ღონისძიებებს. ასეთია ამხ. ლიტვინოვის სიტყვის ერთ-ერთი ცენტრალური აზრი.

მშვიდობიანობისათვის ეფექტური ბრძოლის პროგრამა დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ცხოვრებაში ისე, რომ არ მოხდეს მისი შემდგომი გაჭიანურება. სრულიად ვერ უძლებს კრიტიკას წინადადებანი, როგორიც, მაგალითად, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეკმა შეიტანა: ლიგის განმტკიცება შესაძლებელი ხდება „მხოლოდ ახლანდელი მომენტის მძიმე საზრუნავთაგან განთავისუფლებულ პოლიტიკურ ატმოსფეროში", ეს არგუმენტი უკუაგდო ამხ. ლიტვინოვმა, რომელმაც სამართლიანად განაცხადა:

„მე ნებას მივცემ თავს ვიფიქრო, რომ სწორედ... მოუსვენრობის არსებობა წარმოადგენს ყველაზე ძლიერ არგუმენტს ამ საკითხის დაყენების დროულობის სასარგებლოდ, მოუსვენრობა სწორედ საფრთხის სიახლოვით არის გამოწვეული".

ამბების განვითარება, რომელსაც ამხ. ლიტვინოვის სერიოზული გამოთქმით, „არ შეუცვლია თავისი შავბედითი კურსი", მთელი კატეგორიულობით მოითხოვს აქტიურ ღონისძიებებს მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაცავად.

„პრავდის" მოწინავედან ა/X

◇◇

გრიგალი ხაშურში

ხაშური, 5 ოქტომბერი. 4 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, სოფელ აგარაზე გადაიარა ძლიერმა გრიგალმა, რომელიც ნახევარ საათს მძვინვარებდა. გრიგალმა დააზიანა შაქრის ქარხნის მთავარი კორპუსის სახურავი, რაიონის მთიან ნაწილში სოფელ გორთაში ქარმა სახურავი გადააგლიჯა რამდენიმე სახლს და წააქცია ღობეები (საქტს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

მადრიდი, 4 ოქტომბერი. გუშინ შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა. მთავრობამ მოისმინა და მოიწონა საგარეო საქმეთა მინისტრ ვაიოს ინფორმაცია ესპანეთის დელეგაციის მოღვაწეობაზე ჟენევაში.

მიიღეს დეკრეტი, რომელიც ესპანეთის ყველა მოქალაქეს — როგორც ცალკეულ პირთ, ისე კოლექტივებს—წინადადებას აძლევს 7 დღის ვადაში ჩააბარონ ესპანეთის ბანკს მთელი თავისი ოქრო ყველა სახისა, აგრეთვე უცხოეთის დევიზები და ფასეულობანი, მერე დეკრეტი კრძალავს ოქროსა და ვერცხლის ესპანეთიდან გატანას (საქდს).

კატალონიის მთავრობის დადგენილებანი

მადრიდი, 3 ოქტომბერი. კატალონიის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი. პირველი დადგენილების თანახმად დაშლილია კატალონიის ანტიფაშისტური მილიციის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც თვითონ განაცხადა, რომ მზად არის მოახდინოს თავისი ლიკვიდაცია. ერთ-ერთი დადგენილება ითვალისწინებს სავალდებულო სამხედრო სწავლების შემოღებას იარაღის ტარების უნარმქონე ყველა მოქალაქისათვის 18-დან 45 წლის ასაკამდე (საქდს).

რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლთა სასარგებლოდ

ბრიუსელი, 4 ოქტომბერი. გაზეთი „პეპლი" იუწყება, რომ ბელგიაში რესპუბლიკური ესპანეთის სასარგებლოდ შეგროვილი შემოწირულებანი ამჟამად 1 მილიონ ბელგიურ ფრანკს აღწევს. გაზეთი მიმართავს მოწოდებით გააძლიერონ ესპანეთის ხალხთან სოლიდარობის კამპანია.

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. ამერიკის 100-ზე მეტმა ცნობილმა მხატვარმა, მათ შორის მაქს ვებერმა, ალექსანდრე ბრუკმა და სტუარტ დევისმა გამოაფინეს თავიანთი სურათები ესპანეთი სახალხო ფრონტის სასარგებლოდ მოწყობილ სამხატვრო გამოფენაზე (საქდს).

◇ ◇ ◇

„საბჭოთა კავშირი—ხელმძღვანელი სახელმწიფოა"

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" ჟენეველი კორესპონდენტი უოლეს დი უელი სწერს:

„საბჭოთა კავშირი — ხელმძღვანელი სახელმწიფოა ერთა ლიგაში. ახლანდელი პლენუმისა და ლიგის საბჭოს სხდომების დროს საბჭოთა კავშირის დელეგაცია თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავდა უფრო აქტიურად და უფრო წარმატებით, ვიდრე სხვა რომელიმე დელეგაცია. საბჭოთა კავშირმა არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა თავისი შესაძლო მტრები და მოახდინა მათი იზოლაცია" (საქდს).

◇ ◇ ◇

კრიზისი შორეულ აღმოსავლეთში და სახელმწიფოები

ვაშინგტონი, 4 ოქტომბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელმა განაცხადა, რომ ამერ. შეერთებული შტატების მთავრობა ყურადღებით ადევნებს თვალს ამბების განვითარებას შორეულ აღმოსავლეთში. ხელმა გარკვევით არ სთქვა—აწარმოებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მოლაპარაკებას ინგლისთან ჩინეთის მდგომარეობის შესახებ. მაგრამ მან განაცხადა: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს მიიღოს ამ საკითხზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ „ინციდენტებს" იაპონია იყენებს ჩინეთში ახალ აგრესიულ მოქმედებათა საბაბად. გაზეთების სიტყვით, დასავლეთის სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იაპონიის მოქმედების შედეგებს.

„ბალტიმორ სენი" სწერს, რომ იაპონიის მოთხოვნების მიღება იქნებოდა ჩინეთის გადაქცევა იაპონიის კოლონიად.

ლონდონი, 4 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით, ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისი, ითვალისწინებს რა ჩინეთში თავისი ინტერესების დიდ მნიშვნელობას, ძალიან ყურადღებით ადევნებს თვალს შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას. ის გარემოება, — დასძენს მიმომხილველი, — რომ ამასწინათ ინგლისის ელჩი ტოკიოში ესაუბრა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს არიტას—მხოლოდ ადასტურებს ამას. არ არის სწორი, — დასძენს მიმომხილველი, — ზოგიერთ წრეში გავრცელებული შთაბეჭდილება, თითქოს ინგლისს არ აინტერესებდეს ახლანდელი კრიზისი შორეულ აღმოსავლეთში (საქდს).

◇ ◇ ◇

იაპონიის პრესა ნანკინის საომარ ღონისძიებათა შესახებ

ტოკიო, 4 ოქტომბერი. იაპონიის გაზეთები კვლავ ავრცელებენ ხმებს ნანკინის მთავრობის საომარ ღონისძიებათა შესახებ. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნანკინის მთავრობის ღონისძიებებს ჩრდილო-ჩინეთში. დომეი-ცუსინის სააგენტო ამტკიცებს, რომ ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა მტკიცედ გაატაროს ჩრდილო-ჩინეთის დაცვის პოლიტიკა, თუნდაც იაპონიასთან ომი მოუხდეს (საქდს).

◇ ◇ ◇

უცხოეთის ქრონიკა

#ვენაში (ავსტრია) 8 ნოემბერს განზრახულია მოეწყოს ეგრეთწოდებული რომის ბლოკის კონფერენცია, სადაც მონაწილეობას მიიღებს იტალიის, ავსტრიისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

#ავსტრიის პოლიტიკური და ეკონომიური შესწავლის მიზნით ვენაში ჩავიდნენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები.

#ბაოტოუში (სუიუანის პროვინცია) მოხდა შეტაკება ჩინელ პოლიციელებსა და იაპონელებს შორის. მოკლულია ორი იაპონელი პოლიციელი.

#კისარაძუს (იაპონია) საზღვაო-საავიაციო თვითმფრინავი [illegible] მახლობლად ზღვაში ჩავარდა.

#გრაცსა და შტირიაში (ავსტრია) მოხდა ძლიერი მიწისძვრა. მიწის-ძვრა ექვს წამს გაგრძელდა. ბევრი სახლები დაზიანდა.

ბლიუმის განცხადება უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან

პარიზი, 4 ოქტომბერი. გუშინ ჟენევაში, უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა მიღებისას, საფრანგეთის პრემიერმა ბლიუმმა განაცხადა:

„მე შეხვედრები მქონდა დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირის, მცირე ანტანტის, პოლონეთის, თურქეთის, ბელგიისა და შვეიცარიის წარმომადგენლებთან. მე ნათელი და, ვფიქრობ, სწორი წარმოდგენა გამოვიტანე, რომ საფრანგეთის მეგობრული ურთიერთობანი არ შერყეულა და შეშფოთებას არ იწვევს. მე მინდა გამოვსთქვა თუ პროტესტი არა, ყოველ შემთხვევაში მოსაზრება იმ არასწორ წარმოდგენათა წინააღმდეგ, რომლებიც მე მესმის ან წამიკითხავს პარიზში, — იმ წარმოდგენათა წინააღმდეგ, რომლებიც ეხება ჟენევაში ჩემს მუშაობას. ზოგჯერ შიშობენ — ლოკარნოს სახელმწიფოთა კონფერენციის მომზადებამ შეიძლება ზოგიერთი ჩვენი მეგობარი შეაშფოთოსო. მე არ ვფიქრობ, რომ ამ შეშფოთებას საფუძველი ჰქონდეს. არავინ არ უნდა დაივიწყოს, რომ ლოკარნოს სახელმწიფოთა თათბირი ჩვენ მოსაზრებული გვქონდა, როგორც ევროპის საერთო დაშოშმინების შესავალი. ჩვენ ამას არ ვივიწყებთ და გვინდა, რომ ეს არავინ არ დაივიწყოს" (საქდს).

◇ ◇ ◇

იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის დაძაბულობა

ტოკიო, 4 ოქტომბერი. დომეი ცუსინის სააგენტოს ხანკოუელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ხუპეის პროვინციის მთავრობის თავმჯდომარემ იან იუნ-ტაიმ 1 ოქტომბერს უბრძანა ყველა ადგილობრივ ორგანოს მზად იყვნენ სერიოზული ამბებისათვის და აუკრძალა ჩინელ მოხელეებს სადმე წავიდნენ.

ამავე დროს გაზეთ „ნიცი-ნიცის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონელები — ცენტრალურ ჩინეთში სამრეწველო საწარმოთა მფლობელნი — გაძლიერებით ემზადებიან ევაკუაციისათვის, დამოუკიდებლად იაპონიის ხელისუფლების ოფიციალური ღონისძიებებისა. ზოგიერთი იაპონელი რეზიდენტები რომლებიც ჩინეთის შორეულ ადგილებში ცხოვრობენ, უკვე გზავნიან ქალებსა და მოხუცებს შანხაიში ან იაპონიაში. იაპონელთა მნიშვნელოვანი ჯგუფები, ქალები და მოხუცები, — კორესპონდენტის სიტყვით, — ხანკოუდან, იჩანიდან და ჩანშადან უკვე ჩავიდნენ შანხაიში. მათი ნაწილი 2 ოქტომბერს უკვე გაემგზავრა იაპონიაში. ყოველნაირი შემაშფოთებელი ხმების გამო, — სწერს შემდეგ კორესპონდენტი,— სავაჭრო ოპერაციები ჩინელ და იაპონელ ვაჭრებს შორის საგრძნობლად შემცირდა. იაპონიის ეკონომიური ინტერესები ჩინეთში დღითიდღე უფრო-და-უფრო ილახება, რის გამო ვითარება თანდათან ღებულობს უფრო სერიოზულ ხასიათს.

იაპონური გაზეთები იუწყებიან, რომ 3 სექტემბერს ნაგასაკიში ჩამოვიდა იაპონელთა პირველი ჯგუფი — 30 ქალი და ბავშვი, რომელნიც უმთავრესად ხანკოუში ცხოვრობდნენ. ჩამოსულთა სიტყვით, — სწერს კორესპონდენტი, — ანტიიაპონური განწყობილება ხანკოუში დღითიდღე ძლიერდება (საქდს).

◇ ◇ ◇

ხორცის მოხმარების შემცირება გერმანიაში

ბერლინი, 4 ოქტომბერი. გერმანიის სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, ხორცის მოხმარება გერმანიაში აგვისტოს განმავლობაში ივლისთან შედარებით 15 პროცენტით შემცირდა. იმის აღიარებასთან ერთად, რომ შეუძლებელია ძროხისა და ღორის ხორცზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, გერმანიის ეკონომიური პრესა იძულებულია აღიაროს ხორცის ფასების ზრდაც (საქდს).

საჰაერო თავდაცვის სკოლა შვეიცარიაში.

სურათზე: კლოტენის (შვეიცარია) პირველი საჰაერო თავდაცვის სკოლის რეკრუტ — მოწაფეებს გადააქვთ საზენიტო ზარბაზნები.

სტალინური კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვა

სამხრეთ-ოსეთში იხილავენ სტალინურ კონსტიტუციას

სამხრეთოსეთის მშრომელები სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას, შეაქვთ მასში შესწორება-დამატებანი.

სოფ. ზემო-ერედვის კოლმეურნემ იასონ ქრისტესიაშვილმა სთქვა: „კონსტიტუციაში არაფერი სწერია სახელმწიფო ენის შესახებ. ჩემის აზრით საჭიროა კონსტიტუციას დაემატოს სპეციალური მუხლი ასეთი შინაარსით: „თვითეული მოკავშირე ავტონომიური რესპუბლიკის და ავტოოლქის სახელმწიფო ენას წარმოადგენს მისი ნაციონალური ენა".

კონსტიტუციის პროექტის დამუშავებასთან დაკავშირებით ზემო-ერედვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გიგა ტარიელაშვილმა განაცხადა: „ახალი კონსტიტუციის პროექტი უფრო ფართო გზას გვიხსნის ნათელი და შეძლებული ცხოვრებისაკენ. ამ კონსტიტუციის აღსანიშნავად მე სიტყვას ვიძლევი, რომ ჩვენი კოლმეურნეობა წარმატებით დაამთავრებს მოსავლის აღებასა და განაწილებას. პირნათლად მოვიხდით სახელმწიფო დავალებას".

სიტყვა უკვე საქმედ იქცა. ერედვის კოლმეურნეობამ თავთავიან კულტურების აღება 15 აგვისტომდე დაამთავრა: 5 აგვისტომდე კი 199 პროც. შეასრულა როგორც მარცვლეულის დამზადება, ისე მტს-ის ნატურანაზღაურების გეგმა.

ზნაურის რაიონში სტალინური კონსტიტუციის პროექტის დამუშავებამდე სულ 50 დამკვრელი და სტახანოველი იყო. 20 სექტემბრისათვის კი ზნაურის რაიონში 170 სტახანოველი და დამკვრელია.

კოლმეურნე გ. ქელეხსაევმა კონსტიტუციის დამუშავების დროს სთქვა: მე ყოფილი მოჯამაგირე ვარ. წინათ არაფერი მქონდა. ახლა მყავს ერთი ძროხა, ხბო, 5 ცხვარი, 3 ღორი, მაქვს ვენახი, ჩემი ოჯახისათვის სამყოფი პური და ღვინო. ამის საშუალება მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი მტკიცედ ირაზმებიან სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და გასაძლიერებლად. მტკიცე ნაბიჯით მიისწრაფიან წინ შეძლებული და კულტურული ცხოვრების განსამტკიცებლად.

ჟორა ძიგოევი.

ამოწმებენ დეპუტატების მუშაობას

(ხაშურის რაიონი).

საბჭოების მერვე ყრილობისათვის მოსამზადებელი მუშაობა რაიონში ფართოდ გაიშალა.

სასოფლო საბჭოები პლენუმებზე იხილავენ ყრილობისათვის მზადების საკითხს და კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს, რათა ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ საბჭოების მომავალ ყრილობას.

ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით ოქტომბერში ხდება საბჭოების მუშაობის დათვალიერება-შემოწმება. სასოფლო საბჭოები და ცალკეული დეპუტატები ანგარიშით წარსდგებიან ამომრჩეველთა წინაშე — განწესისა და გეგმების შესრულების შესახებ.

სას. საბჭოებში უკვე დაიწყო განწესის შესრულების მასობრივი შემოწმება მთელი რიგი საბჭოები საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან ამომრჩეველთა დავალებების შესრულების მხრივ (სურამის, ქარელის, ბრეთის, ალის და სხვა სოფსაბჭოები). მაგრამ არიან ისეთი საბჭოებიც, რომელთაც ამომრჩეველთა განწესის შესრულებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ. მაგალითად, წაღვლის და ცოცხნარის სას. საბჭოებში განწესები დაუკარგავთ. განწესი ძალიან მცირე პროცენტითაა შესრულებული ზ.-ხვედურეთის, რუისის და ახალსოფლის საბჭოებში იქვე მეტად ჩამორჩენილია სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობა.

ანგარიშგებასთან დაკავშირებით რაიონში გაძლიერებით ხდება სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო განხილვა. განხილვა მოეწყობა ყველა უბანში საანგარიშო კრებებზე.

კონსტიტუციის საფუძვლიანად შესასწავლად ეწყობა წრეები სურამის, ქვიშხეთის, ქარელის და ოსიაურის საბჭოებში. **ტ. გოზალოვი.**

ახრეშმის ფაბრიკის დეპუტატი, ორჯონიკიძის რაისაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ლიზა იდამია, ახალ კონსტიტუციის საფუძველზე, არკვევს ფაბრიკის საბავშვო ბაგის მდგომარეობას, საქმის გაუმჯობესებისათვის.

სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებში დიდი ინტერესით სწავლობენ სტალინური კონსტიტუციის პროექტს. პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვის დაწყების შემდეგ შრომის ნაყოფიერებამ შესამჩნევად იმატა. სტახანოველი მკრეფავები (დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობა) ბ. თოდუა, გ. ქობალია, თ. ქობალია, ს. თოდუა და მ. იგარსკი წინათ კრეფის გეგმას 100 პროცენტით ასრულებდნენ, ახლა კი 300-350 პროცენტით ასრულებენ. თამაკონის კოლმეურნეობის სტახანოველმა ქალმა ქიქინო სართანიამ სტალინური კონსტიტუციის დამუშავების და შესწავლის შემდეგ რაიონში ჩაის კრეფის რეკორდი დაამყარა. რისთვისაც სამ.-სატ. სადგურმა ის პატეფონით დააჯილდოვა.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სტალინური კონსტიტუციის შესასწავლად მოწყობილია წრეები. სწარმოებს წინადადებების, შესწორებებისა და დამატებების შეგროვება.

— ახალი კონსტიტუცია მსოფლიოში გაუგონარი მოვლენაა: ის ჩვენი ზრდის, ძლიერებისა და განუწყვეტელი წინსვლის გამოხატულებაა — ამბობენ ბანძის კოლმეურნეები დ. პატარაია, უტუ ქაქელია და კ. ტყებუჩავა.

80 წლის მოხუცმა უ. ქაქელიამ სთქვა: — ბევრ რამეს მოვსწრებივარ, მაგრამ არ მინახავს ისეთი მთავრობა, რომელიც ისე ზრუნავდეს მოხუცებზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებაო.

— ბოქაული, მამასახლისი და მღვდელი აწიოკებდა ჩვენს სოფელს, ამბობს ჯოლო-აბედათის სტახანოველი კოლმეურნე კოსტა ქოთელია. კიდევ უარეს დღეს გვაყენებდა თავადი დადიანი, მახსოვს. ძალით აგვაშენებინეს მშრომელებს ეკლესია, სადაც მღვდელი სიბნელისა და ცრუმორწმუნეობის გარდა სნეულებასაც ავრცელებდა. ერთი ჰურჭლით და ერთი კოვზით აზიარებდა მრევლს, გადამდებ სენით გარდაცვალებულს დაადებდა ჯვარს, რომელსაც დამსწრენი ემბორებოდნენ. ეს მწარე და ბნელი ცხოვრება ისტორიის ჩაბარდა.

გაჭედილის კოლმეურნეობის წევრმა ან. წულაიამ სთქვა: „ჩვენს სოფელში ქალები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ აბორტის აკრძალვას. ჩემის აზრით, კარგი იქნება კონსტიტუციაში შეტანილ იქნას მუხლი, რომელიც დაადასტურებს, რომ სახელმწიფო უზრუნველჰყოფს კოლმეურნე-ქალებისათვის უფასო საექიმო მომსახურებას, დახმარებას მშობიარობის დროს და ამ დახმარებას ახორციელებენ საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები.

კონსტიტუციის პროექტი დამუშავდა მომთაბარეთა შორის. მწყემსი შალიკო წულაია (გაჭედილი) დიდი სიხარულითა და ენტუზიაზმით ეგებება პროექტის გაცნობას. მან ახალი ვალდებულებები იკისრა და მას პირნათლად ასრულებს.

სადღაა ახლა „მგლის ბუნაგი" — გმინვა და დაბეჩავება? საამურმა და მხიარულმა ცხოვრებამ შესცვალა იგი. ხალხი მხიარულობს, კონსტიტუციის მუხლებს გაფაციცებით კითხულობს.

ა. კირცხალია.

ი. ბეჟვაია

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი

პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზით

რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლა დაიწყო მიმდინარე წლის 2 ივნისს და ძირითადად დამთავრდა 12 აგვისტოსათვის.

კომუნისტების პარტდოკუმენტთა გამოცვლის დაწყებამდე ხდებოდა პირველადი ორგანიზაციის მდგომარეობის წინასწარი შესწავლა. გამოკვლევის მასალების საფუძველზე რაიკომის მდივნები ესაუბრებოდნენ თვითეულ ცალკეულ კომუნისტს. საუბრის მიზანი იმის გამორკვევა იყო, თუ რამდენად ღირსია კომუნისტი ატაროს პარტიის წევრობის მაღალი სახელწოდება; როგორია კომუნისტის ავანგარდული როლი და საწარმოო პოლიტიკური აქტივობა; რა ხასიათის დავალებები აქვთ და როგორ ასრულებენ ისინი ამ დავალებებს; რა ზომებს ღებულობენ პირველადი პარტორგანიზაციები და თვითეული ცალკეული კომუნისტები იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის; როგორ არის დაყენებული საპროპაგანდო მუშაობა პარტგანათლების ქსელში; როგორ მუშაობს პირველადი პარტიული ორგანიზაცია და რა დახმარებას უწევს იგი თვითეულ კომუნისტს.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლისა და კომუნისტებთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციაში სუსტად იყო დაყენებული შინაპარტიული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან და ნაკლებად აქტიურ კომუნისტებთან.

ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის პირველად პარტორგანიზაციაში ქარხნის სამკუთხედმა ვერ შექმნა საჭირო პირობები ქარხანაში სტახანოვური მოძრაობის გასაშლელად; პროფორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას, სუსტი იყო კომუნისტების ავანგარდული როლი ამ მოძრაობაში, უხეშად ამახინჯებდნენ შრომის კანონებს მოზარდთა შრომის გამოყენების საქმეში; ცუდი იყო პროდუქციის ხარისხი; იყო მუშათა ხელფასის დავალიანება; ქარხნის პარტკომი სუსტად მუშაობდა კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან და ზოგიერთ კომუნისტებთან (ძიმისტარაშვილი, წილოსანი, კიზირია, ჩიქობავა), სუსტად მუშაობდნენ პარტმიმაგრებულნი და სხვ.

ტეხურის რამის საბჭოთა მეურნეობაში ხდებოდა მუშათა ხელფასის უკანონოდ ჩამოწერა, სუსტად იყო დაყენებული მუშაობა საბავშვო ბაგაში. მეურნეობაში აღმოჩნდნენ ისეთი მუშები, რომლებიც 3-5 წლამდე მუშაობენ საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ შეღავათებით არ უსარგებლიათ. მეურნეობის მუშებში და ხელმძღვანელ ორგანოებში ვერ იყო ფართოდ გაშლილი საქმიანი თვითკრიტიკა, ხელმძღვანელ მუშაკებს შორის არასაქმიანი დამოკიდებულება იყო; მეურნეობის თანხები იფლანგებოდა (ზარანდია, ცირეკინიკოვი), პირველადი პარტორგანიზაცია სუსტად მუშაობდა კომუნისტებთან და სხვა.

რაიაღმასკომის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მოდუნებული იყო რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე და მონაგვიანებული იყო აპარატი. სახდაზღვევის ხაზით გაფლანგულია 40.000 მანეთამდე. დაპატიმრებულია სახ. დაზღვევის ყოფილი ინსპექტორი, ავანტურისტი ოდიშარია.

რაიაღმასკომის, ქალაქის საბჭოს, ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის, ფოცხოს, ეკის, ზემო-ჭალადიდ და ნოქალაქევის პირველადს პარტორგანიზაციებთან არსებულ პოლიტკოლებში იყო მეცადინეობის ჩაშლისა და მსმენელთა დაუსწრებლობის შემთხვევები (ფოცხოში ჩაშლილია სამი მეცადინეობა, უშაბათის ჩაის ფაბრიკაში სამი, მრეწველობის ტრესტში ექვსი და სხვ.).

აღნიშნულ პარტორგანიზაციებში პარტდოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით დასახულ იქნა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის შედეგად რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში გადაჭრით გაუმჯობესდა პარტმასობრივი და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა; გაძლიერდა პარტიული დისციპლინა და რევოლუციური ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლე; ამაღლდა პარტიული კრებების ხარისხი და შინაარსი; გაუმჯობესდა საპროპაგანდო მუშაობა; გაძლიერდა მუშაობა კომუნისტებთან, კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან, კადრების რეზერვთან; ლიკვიდირებულია კომუნისტებში წერა-კითხვის უცოდინარობა, სერიოზული მუშაობაა კომუნისტთა მცირემცოდნეობის სალიკვიდაციოდ; კომუნისტების აღრიცხვა და პარტიულ დოკუმენტთა საიმედოდ შენახვის საქმე მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული; კომუნისტები მტკიცედ ირაზმებიან საწარმოო დავალებათა შესრულების გარშემო, გაძლიერდა კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარების აღმოჩენა; პარტიული ძალები და პარტიული დატვირთვა განაწილებულია რაციონალურად.

პარტდოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა საწარმოო გეგმებისათვის ბრძოლის საქმეში.

უშაბათის ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციაში კარგად არის დაყენებული პარტმასობრივი მუშაობა, რომლის შედეგად კოლმეურნეობაში გეგმობრივი დავალებები გადაჭარბებით სრულდება.

ხორშის გერანის პირველადს პარტორგანიზაციაში გაძლიერდა კომუნისტების პასუხისმგებლობა დაკისრებულ მოვალეობისადმი და ამაღლდა პარტიული კრებების ხარისხი და შინაარსი. ამავე მეურნეობას 1935 წ. მესამე კვარტალში გერანის მოსავალი უნდა აეღო 142 კ.-გრ. ფაქტიურად აიღო 168 კ.-გრ. გეგმა შესრულებულია — 111 პროცენტით; გეგმით უნდა გამოეხადა 226 კ.-გრ. გერანის ზეთი, ფაქტიურად გამოხადა 290 კ.-გრ. გეგმა შესრულებულია 132 პროც. მიმდინარე წელს გეგმით მოცემულია გერანის ახალი პლანტაციების გაშენება 65 ჰექტარზე, ფაქტიურად გაშენებულია 68 ჰექტარზე (გეგმა შესრულებულია 108 პროც.). პლანტაციები უკეთესად არის მოვლილი.

ძველი სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციაში კომუნისტთა კრებაზე დაუსწრებლობის არცერთი შემთხვევა არ არის. გაიზარდა კომუნისტთა აქტივობა. პარტიული ძალები და პარტიული დატვირთვა რაციონალურად არის განაწილებული, გაუმჯობესებულია კომკავშირის ორგანიზაციის მიმართ ხელმძღვანელობა და დახმარება. საბჭოთა მეურნეობაში ღორების გამოზრდის ნამატის შენარჩუნებისა და სულადობის ზრდის გეგმები გადაჭარბებით სრულდება, რისთვისაც ხელმძღვანელმა ორგანოებმა დააჯილდოვეს მეურნეობის მუშაკები.

დიდი ყურადღება ექცევა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და კომუნისტების მიერ პარტისტორიის შესწავლას. ამის შედეგად პარტდოკუმენტების გამოცვლის მოსამზადებელ პერიოდში და დოკუმენტთა გამოცვლის დროს პოლიტწრეებში დიდად შემცირდა მეცადინეობის ჩაშლა, უზრუნველყოფილია მსმენელთა მთლიანი დასწრება, გაუმჯობესდა აგრეთვე შეთვისების ხარისხი (მაგალითად, ძვ. სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის, ხორშის ცენტრალური, ეკის ტერიტორიული, რაიკოოპკავშირის, საკირე ქარხნის პარტორგანიზაციათა პოლიტსკოლებში). პოლიტსკოლის მოწინავე მსმენელები არიან: გორდაძე, გაბესკირია, დარჯანია, ბერიშვილი, ცხვიტავა და სხვ. ასევე კარგად მუშაობენ სარეწაო კოოპერაციის, რაიკოოპკავშირის, მინსახკომის, ხორშის საბჭოს პირველად პარტორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლები.

რაიონში 28 პირველად პარტორგანიზაციასთან არსებობს თანამგრძნობთა ჯგუფი; 10 პირველად პარტორგანიზაციასთან მიღებულნი არიან ერთეული თანამგრძნობნი. რაიონში ამჟამად სულ 132 თანამგრძნობი ირიცხება, რომელთაგან 66 კოლმეურნეა და 28 მუშა. ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი თანამგრძნობთა ჯგუფი 9 პირველად პარტორგანიზაციასთან.

პარტდოკუმენტების გამოცვლისათვის მოსამზადებელი მუშაობისა და პარტდოკუმენტთა გამოცვლის პერიოდში თანამგრძნობთა ჯგუფი მოწყობილია 6 პირველად პარტორგანიზაციასთან; მიღებულია 22 თანამგრძნობი; ამავე პერიოდში მიღებული და დამტკიცებულია პირველად პარტორგანიზაციაში 13 ერთეული თანამგრძნობი. მიღებულთა შორის უმრავლესობას სტახანოველები შეადგენენ. ამას გარდა შემოსულია თანამგრძნობთა ჯგუფში შესვლის მსურველთა განცხადებანი, რაც განიხილება უახლოეს დროში.

თანამგრძნობებთან მუშაობის შესამოწმებლად და გასაძლიერებლად საინსტრუქტორო ზონების მიხედვით მოეწყო თანამგრძნობთა საუბნო კრებები. ამ კრებებზე მოისმინეს შერჩევით 10 თანამგრძნობის თვითანგარიში მიცემულ დავალებათა შესრულების შესახებ. მოისმინეს აგრეთვე თანამგრძნობებზე მიმაგრებულ კომუნისტთა ინფორმაცია და პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები თანამგრძნობებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები (ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა, ძვ. სოფლის სტალინის სახ. კოლმეურნეობისა, ძვ. სენაკის საბჭოთა მეურნეობისა, გეჯეთის „ოქტომბრის" კოლმეურნეობისა, საკირე ქარხნისა, ნოქალაქევისა, უშაბათის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობისა და სხვ.) თანამგრძნობებთან სერიოზულ პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან, აძლევენ მათ (გაბისონია, შეროზია, კილასონია, ჯოჯუა, ხუხია, ჯოჯუა, ჩემია, გეგენავა) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დავალებებს, ისმენენ თვითანგარიშებს, ეხმარებიან მიცემულ დავალებათა შესრულებაში და სხვ. ყველა თანამგრძნობი ჩაბმული ჰყავთ პარტგანათლების ქსელში, თანამგრძნობებზე მიმაგრებული არიან რეკომენდაციის მიმცემი კომუნისტები, შემოღებულია თანამგრძნობთა დღეების მოწყობა.

პარტდოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებით გამოვავლინეთ და შევქმენით რაიკომთან კადრების რეზერვი 40 კომუნისტის შემადგენლობით. ამ რეზერვიდან პარტიულ სამუშაოზე დაწინაურებულია 8 კაცი, საბჭოთა ხაზით — 4, სამეურნეო ხაზით — 7, კოოპერაციის ხაზით — 4. დასაწინაურებლად გათვალისწინებულია პარტიულ სამუშაოზე — 13, საბჭოთა ხაზით — 1 და სამეურნეო ხაზით — 3.

პარტდოკუმენტთა გამოცვლისათვის მოსამზადებელი მუშაობისა და დოკუმენტთა გამოცვლის დროს გამოვლინებულია კადრების რეზერვში სულ 24 კომუნისტი. ამ რეზერვიდან პარტიულ სამუშაოზე უკვე დაწინაურებულია 2 კაცი, საბჭოთა ხაზით — 3, სამეურნეო ხაზით — 10 კოოპერატიული ხაზით — 2. დასაწინაურებლად გათვალისწინებულია პარტიულ სამუშაოზე — 4, საბჭოთა ხაზით — 1. ამრიგად კადრების რეზერვში გამოვლინებულია 64 კომუნისტი. კადრების რეზერვში ჩარიცხულ ამხანაგთა იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად და აქტიურ პარტიულ მუშაობაში ჩასაბმელად ეწყობა მათთან ინდივიდუალური საუბარი, მათი ანგარიშების მოსმენა პარტიულ და საწარმოო დავალებათა შესრულებაზე და იმაზე, თუ რას კითხულობენ, როგორ მუშაობენ საკუთარ თავზე და სხვა. ისინი დაკავშირებული არიან პარტკაბინეტთან და მეცადინეობენ აგრეთვე პარტგანათლების ქსელში.

რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში გვყავს სულ 76 ერთეული კომუნისტი. ერთეულ კომუნისტებს ეძლევათ პარტიული და პოლიტიკური ხასიათის დავალებანი, ეწყობა მათი თათბირები და საუბნო კრებები საინსტრუქტორო ზონების მიხედვით, სადაც იხილავენ მიმდინარე ხასიათის საკითხებს და ეცნობიან პარტიისა და ხელისუფლების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ყველა ერთეული კომუნისტი ჩაბმულია პარტგანათლების ქსელში. რაიკომის ბიურო თავის სხდომებზე ისმენს ხოლმე მოხსენებას მათი მუშაობის შესახებ. სადაც შესაძლებელი იყო, ერთეული კომუნისტები ჩარიცხული არიან უახლოეს პირველად პარტორგანიზაციებში. მიმდინარე წლის თებერვალს მოხდა ერთეული კომუნისტების სარაიონო თათბირი; აქ განიხილეს ერთეულ კომუნისტებთან შინაპარტიული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები და მიიღეს კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

რაიონის პირველად პარტორგანიზაციაში გვყავს სულ 355 კანდიდატი. მათთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების მიზნით რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე მოვიწვიეთ კანდიდატთა სარაიონო შეკრება. აქ მონაწილეობას ღებულობდნენ პირველადი პარტორგანიზაციის კომიტეტის მდივნები, პარტორგანიზატორები და კანდიდატებზე მიმაგრებული კომუნისტები. შეკრებაზე მოისმინეს შერჩევით კანდიდატთა თვითანგარიშები იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ ისინი წესდების პირველ და მეორე პუნქტს. ამასთანავე მოისმინეს მიმაგრებული კომუნისტების ინფორმაცია და პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი პარტკანდიდატებთან მუშაობის საკითხებზე. აქვე დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში (ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა, ძვ. სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობა, შინსახკომის, გეჯეთის „ოქტომბრის", ნოქალაქევის ტერიტორიული და სხვ.) კანდიდატებთან მუშაობა კარგად არის დაყენებული. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელები აძლევენ კანდიდატებს პარტიულ დავალებებს, აწყობენ მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმებას, ეხმარებიან ამ დავალებათა შესრულებაში, ისმენენ პერიოდულად კანდიდატების თვითანგარიშებს, იწვევენ მათ თათბირებზე, იხილავენ წესდება-პროგრამას და პარტიის მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს.

მიუხედავად ამ მიღწევებისა ჯერ კიდევ ყველა პირველად პარტორგანიზაციაში ვერ არის სათანადოდ მოწესრიგებული კანდიდატებთან მუშაობის საქმე, კერძოდ ერთეულ კომუნისტებთან.

მომავალ მუშაობაში პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანას წარმოადგენს: გააჩაღონ მოსამზადებელი მუშაობა პარტიაში ახალი მიღებისათვის; გამოამჟღავნონ ჯერ კიდევ ნიღაბაუხდელი მტრები; სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ზინოვიეველ ნაბოლარებთან, მათდამი შემრიგებლობასთან, გადაჭრით გააუმჯობესონ პარტმასობრივი მუშაობა. მოაწესრიგონ კომუნისტების აღრიცხვა და მოძრაობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქციის საფუძველზე; გააძლიერონ კომუნისტების აქტივობა და ავანგარდული როლი სტახანოვურ მოძრაობაში; კიდევ უფრო გაამახვილონ კომუნისტებში შეტევითი რევოლუციური სიფხიზლე; უფრო გულმოდგინედ და ორგანიზებულად მოამზადონ პარტკრებები, აქტიურად ჩააბან კომუნისტები პარტიულ კრებების წინასწარ მომზადებაში და დასმულ საკითხების განხილვაში; გააუმჯობესონ მუშაობა პარტწევრობის კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან და კადრების რეზერვთან; განამტკიცონ პარტდოკუმენტთა გამოცვლასთან დაკავშირებით მიღწეული შედეგები. პარტიული მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ სამეურნეო დავალებათა შესრულებას და ბოლშევიკურად დარაზმონ კომუნისტები და კოლმეურნე მასები ამ დავალებათა შესრულების წარმატებით უზრუნველსაყოფად.

◆

ხალხს მივცეთ კარგი პროდუქცია!

ჩვენგან, სამეურნეო მუშაკებისაგან პარტია მოითხოვს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დაცვას. მშრომელები ახლა უფრო მეტ მოთხოვნილებას აყენებენ კულტურული ცხოვრების განმტკიცებისათვის. ჩვენ უნდა ვამზადებდეთ მხოლოდ მაღალი ხარისხის საქონელს, რომ მომხმარებელნი დავაკმაყოფილოთ.

ამ მხრივ ქუთაისის სამკერვალო №4 ფაბრიკაში ვერ არის საქმე რიგიანად. ფაბრიკამ მეორე კვარტალის გეგმა გარღვევით დაამთავრა. მას უნდა გამოეშვა და ქუთაისის „მკერავგასაღებისათვის" უნდა ჩაებარებინა 2.186.600 მანეთის პროდუქცია (26-27 წლის უცვლელ ფასებში). ნამდვილად კი ფაბრიკამ მოგვცა 1.484.624 მანეთის — გეგმის 60 პროც. მესამე კვარტალში ფაბრიკამ უნდა მოგვცეს 1.792.100 მანეთის პროდუქცია, 2 სექტემბრისათვის კი მოგვცა 1.360.251 მანეთისა. უნდა აღინიშნოს, რომ „მკერავგასაღება" დღემდე აწარმოებდა ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 20 პროცენტის შემოწმებას, ვინაიდან მთელი პროდუქციის გასინჯვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ წუნმდებელთა შტატის სიმცირის გამო. როცა ჩვენ შევამოწმეთ ის 20 პროცენტი, გამოირკვა, რომ პირველი და მეორე კვარტალის განმავლობაში „მკერავგასაღების" მიერ ფაბრიკისათვის წუნდებული საქონლის გამოშვების გამო გადახდევინებიათ ჯარიმად 148.665 მანეთი. ჩვენ რომ ფაბრიკის მთელი პროდუქცია გადაგვესინჯა, ცხადია, ჯარიმა უფრო მეტი გამოვიდოდა.

რათა უფრო ნათელი გახდეს ფაბრიკის მიერ გამოშვებულ პროდუქციისა და წუნდებული საქონლის პროცენტული შეფარდება, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. № 4/479 ანგარიშში ფაბრიკის მიერ „მკერავგასაღებისადმი" ჩაბარებულია სულ გასასყიდ ფასებში 5.133.5 მან. 50 კაპ. პროდუქცია, მთლიანად სულ მასში არის სხვადასხვა სახე 4672 ცალი. ხსენებული რაოდენობიდან აღებული არის გასასინჯად მხოლოდ 1755 ცალი, გაისინჯა ჩვენი წუნდებულების მიერ 1655 ცალი. აქედან ცუდი ხარისხის საქონელი აღმოჩნდა 558 ცალი, ე. ი. 34-პროცენტზე მეტი; ეს თანხით შეადგენს 2377 მანეთს. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის მთელ რაოდენობას გავსინჯავდით ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ სურათს მივიღებდით.

ფაბრიკა ხშირად არ იცავს ასორტიმენტს და გამოშვებული პროდუქციის ფასონებს, მაგ. შეკერილ იქნა კაბები 201.898 მანეთისა კაბები ზომით იყო ძალიან პატარა, ხოლო ფასი ჰქონდა 16 მან. და 65 კაპ. ამ კაბებმა მოიარა რამდენიმე ორგანიზაცია და როცა არ გაიყიდა, ისევ ჩვენ დაგვიბრუნეს, რის შემდეგ ფაბრიკა იძულებული გახდა ხსენებული კაბებისთვის ფასი დაეკლო. ფაბრიკამ ამას წინათ 400 ცალი ლეიბისპირი გამოუშვა, მაგრამ როდესაც პროდუქცია გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ ლეიბის ჩვეულებრივ სიგრძეს აკლდა 5-დან 7 სანტიმეტრამდე. იმის ნაცვლად, რომ საქონლის გაფუჭებაში დამნაშავე პირი პასუხისგებაში მიეცათ, ფაბრიკის „კეთილმა" მუშაკებმა მოინდომეს ზარალის ერთიორად ანაზღაურება და გეგმიური საქონელი გადაიცვეს ფართო მოხმარების საქონელში, ფასად კი 27 მან. 60 კაპ. ნაცვლად დააწესეს 38 მან. 20 კაპ. ეს, რასაკვირველია, „მკერავგასაღების" მიერ არ იქნა დაშვებული და ფაბრიკას ისევ დააკლებინა ამ პროდუქციის ფასი.

რა ზომები აქვს მიღებული ფაბრიკის დირექციას წუნთან ბრძოლის წინააღმდეგ? არავითარი!

წუნის აღმოფხვრისათვის არაა საჭირო დიდი მანქანები, ან რთული დანადგარები, წუნს იწვევს უსუფთაოდ გაკეთებული, მანქანის ზეთით, ან სხვა რითიმე დასვრილი მრუდე გვირისტი, ზოგი ტანისამოსი მოკლეა შარვლები უფოლაქო, უპეტლო, მოკლე სახელოიანი და ტოტიანი და სხვ.

არის შემთხვევები, როცა ფაბრიკის საამქროთა გამგეები, იმის ნაცვლად, რომ ჩვენს წუნმდებლებთან ერთად იმუშაონ, ადევნონ თვალყური ყველა დეფექტს და მიიღონ ზომები მის აღმოსაფხვრელად, — ისინი ახლოსაც არ ეკარებიან ჩვენს წუნმდებლებს და ამ უკანასკნელთ უხდებათ სირბილი და ხვეწნა, რომ მათ აქტზე ხელი მოუწერონ. ადმინისტრაცია ასეთ შემთხვევებით სარგებლობს და შემდეგ ოფიციალური მიმოწერისათვის, ესა და ეს აქტი, თქვენს მიერ წარმოდგენილი წუნდებულ პროდუქციაზე, ვერ განიხილება, ვინაიდან ჩვენი წარმომადგენელი მასზე ხელს არ იწერსო. ამით ამოიწურება ადმინისტრაციის ზომები წუნის წინააღმდეგ. (მაგ. მომართვა № 1629 და 1614). ფაბრიკის ადმინისტრაცია უფრო შორს მიდის, ის სექტემბერს მომართვაში № 1600 ოფიციალურად იმუქრება: საქონელს არ ჩაგაბარებთო და იწერება, „მკერავგასაღება" 3 პროცენტ წუნიან საქონელს 8 პროცენტიან წუნად სთვლის, ეს კი ფინანსურ გაჭირვებაში ჩაგვაგდებსო. ჩვენ თამამად უნდა ვუთხრათ ფაბრიკის დირექტორს ამხ. შენგელიას: „მკერავგასაღება" თქვენ არ ჩაგაგდებთ გაჭირვებაში. თქვენ თვითონ ხართ დამნაშავე, რადგანაც თქვენი პროდუქციის 50 პროცენტი წუნია.

წელში გაიმართეთ, წუნი მოსპეთ, ხალხს მიეცით მხოლოდ კარგი პროდუქცია. ასეთი უნდა იყოს თქვენი საბრძოლო ამოცანა.

ა. კვიჟინაძე.
„მკერავგასაღების" ქუთაისის ბაზის დირექტორი

◇ ◇ ◇

თესვაში ჩამორჩენა გრძელდება

(თელავი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

რაიონში თესვა პირველი ოქტომბრიდან დაიწყო. 4 დღეში დაითესა 300 ჰექტარი. 34 ტრაქტორა უქმად დგას სახნისების უქონლობის გამო. მტს-ის დირექციას (დირექტორი ამხ. ქადაგიშვილი) სახნისების შესაძენად დღემდე საჭირო ზომები არ მიუღია.

ყველა კოლმეურნეობას არა აქვს შემოწმებული და შეწამლული თესლი. ასეთებია: კოლმეურნეობა „ჩვენი იმედი" (აკურის სოფსაბჭო), „კოლმეურნის ხმა" (კონდოლის სოფსაბჭო) და სხვ.

ტრაქტორები მომარაგებული არ არის საწვავი მასალით.

ზოგიერთ სოფსაბჭოს სიმინდის აღებაც არ დაუმთავრებია. მაგალითად, ოჟიოს სოფსაბჭოში სიმინდი აღებულია 20 ჰექტარზე.

ჯიმითის სოფსაბჭოში მუშა-პირუტყვი მართებულად არ არის განაწილებული. მთელი მუშა-პირუტყვი გადასროლილია სიმინდის აღებაზე. ხვნა კი ჯერაც არ დაუწყიათ.

თესვის ფრონტზე მდგომარეობა საგანგაშოა. რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა აქედან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ. საქმიწსკომმა სასწრაფოდ უნდა მოამარაგოს რაიონი ტრაქტორის სახნისებით.

„26-ის სახ. რაიონი (ტფილისში) სახეს იცვლის. ჭუჭყიანი ბაზრის მოედნის მაგიერ ახლა არის დიდი ასფალტიანი მოედანი, გარსშემოვლებული მარმარილოს ძოჯირით. სურათზე: მოედნის საერთო ხედი.

იბრძვიან სტალინური წესდებისათვის

(წალენჯიხა, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა გააჩაღეს ბრძოლა სტალინური წესდების ყოველი მუხლის განუხრელად შესრულებისათვის. ცალკეულ კოლმეურნეობებში, ცალკეულ ბრიგადებსა და ცალკეულ ჯგუფებში, ბოლშევიკური თვითკრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ სტალინური წესდების დამახინჯების ყოველ ფაქტს. ამხ. ბერიას მოხსენებით აღგზნებული საკოლმეურნეო მასა თავის ყურადღებას აჩერებს არამარტო არსებულ ნაკლოვანებათა მხილებაზე; არამედ შემოაქვთ მრავალი ახალი წინადადება, კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის, სამეურნეო ახალ ღონისძიებათა გასატარებლად.

ამხ. ბერიას მოხსენება 62 კოლმეურნეობიდან 20 სექტემბრისათვის დაამუშავა 32 კოლმეურნეობამ. პარტრაიკომმა 8 კოლმეურნეობა გამოჰყო დეტალურად შესასწავლად იმ მიზნით, რომ მათი გამოცდილება გადაიტანოს ყველა დანარჩენ კოლმეურნეობაში.

წალენჯიხის რაიონში საქ. კ. პ.(ბ) ც. კ. — მეხუთე პლენუმისათვის არ იყო ჩაბარებული მიწის სამუდამო სარგებლობის შესახებ არც ერთი სახელმწიფო აქტი. ამჟამად კი ამ მხრივ გაცხოველებული მუშაობაა. 20 სექტემბრისათვის უკვე ჩაბარებული ჰქონდათ 10 აქტი, ჩასაბარებლად ვამზადებული იყო 8 აქტი. ამ საქმის დაჩქარებას ხელს ძალიან უშლის მიწის მზომელთა სიმცირე. ამას დაუყოვნებლივ ყურადღება უნდა მიექცეს, რათა წალენჯიხის რაიონმა დანიშნული ვადის, 15 ნოემბრისათვის დაამთავროს სახელმწიფო აქტების ჩაბარება.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დამუშავების დროს აღმოჩნდა საკარმიდამო ფართობების თვითნებურად გადიდების მთელი რიგი ფაქტები. კოლმეურნეობის წევრები თითქმის მთელ სამუშაო დროს საკარმიდამო მუშაობას ანდომებდნენ და კოლმეურნეობაში გამომუშავებული ჰქონდათ მხოლოდ 10—15 შრომადღე.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დამუშავების დროს საკოლმეურნეო მასის ყურადღების ცენტრშია მოქცეული მოსავლიანობის გადიდების საქმე. წალენჯიხის რაიონი წინათ მეტად ღარიბი რაიონი იყო. აქაურ გლეხებს ყოველწლიურად სხვა რაიონიდან შემოჰქონდათ სიმინდი. აქ არ იყო განვითარებული ტექნიკური კულტურები და გლეხობა საშინელ სიღატაკეს განიცდიდა. სულ სხვანაირად გამოიყურება დღეს წალენჯიხის კოლმეურნე გლეხობა. კოლმეურნეობათა მიწები მოფენილია ჩაის პლანტაციებით. რაიონში დაინერგა და გაიშალა წინათ უცნობი — თამბაქოს, ვენახის და მრავალ ფეროვანი ციტრუსოვანი კულტურები. ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დამუშავების დროს ყველა კოლმეურნეობანი ისახავენ ამოცანად ამ კულტურათა უფრო ფართოდ გაშლას და მათი განვითარების ნიადაგზე კოლმეურნეობათა შემდგომ სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას.

სოფელ ნაკიფუს ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის წევრებმაც გულდასმით შეისწავლეს ამხ. ლ. ბერიას მოხსენება, სტალინური წესდების დამახინჯებათა გამოსწორებასთან ერთად, მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის. მან იკისრა 1937 წლისათვის ნიადაგის უკეთ დამუშავებით ორგანული და მინერალური სასუქის შეტანით, მოსავლიანობა გაადიდონ 25 პროცენტით მაინც.

1937 წელს ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდება გეგმით გათვალისწინებული ჰქონდათ 5,7 ჰექტარი. იკისრეს კი ჩაის პლანტაციები გააშენონ 1937 წლისათვის არა ნაკლებ ვიდრე 10 ჰექტარზე. გადაწყვეტილია 1937 წლისათვის გეგმის გარეშე გააშენონ 3 ჰექტარი ვენახი, აგრეთვე (გეგმის გარეშე) გაშენდეს 3 ჰექტარი ტუნგო და 1 ჰექტარი მანდარინი. კოლმეურნეობას გათვალისწინებული აქვს 1 იანვრისათვის მოახდინოს კოლმეურნეობის წევრთა უძროხობის ლიკვიდაცია და გააფართოვოს არსებული სარძევე და მეღორეობის ფერმები.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საფუძვლიანად დაამუშავეს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მოხსენება დამუშავდა პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე, ცალკეულ ბრიგადებში, სტახანოველთა თათბირზე და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. ამ კრებების ყველა მონაწილენი ამხ. ლ. ბერიას მოხსენებას ცალკეულ მუხლებს უკავშირებდნენ საბჭოთა მეურნეობის პირობებს და საღი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლს. მათ მიზნად დაისახეს უახლოეს დროში წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა გადააქციონ სამაგალითო საბჭოთა მეურნეობად. საბჭოთა მეურნეობამ ჩაის კრეფის სახელმწიფო წლიური გეგმა აგვისტოს ბოლოს შეასრულა. იკისრეს ჩაის კრეფის ახალი ვალდებულება და ბოლშევიკურად იბრძვიან ამ ვალდებულებათა გამაღლებისათვის. გადასინჯულ იქნა სამეურნეო-ადმინისტრატიული ხარჯები და შეამცირეს 21521 მანეთით.

საბჭოთა მეურნეობის მთელმა კოლექტივმა ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დამუშავებასთან დაკავშირებით იკისრა 1937 წლისათვის გააშენონ ჩაის ბუჩქი 17 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 13 ჰექტარისა, გააშენოს ციტრუსები 2 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 ჰექტარისა, დაამყნოს ციტრუსები 17500 ძირი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ათასი ძირისა, ჩაის ბუჩქის დასაცავად გააშენოს ქარსაფარი 2 კილომეტრის მანძილზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ ერთი კილომეტრისა, დაამზადოს ტორფი, დროულად შეიტანოს სასუქი და ჩაის ბუჩქის უკეთ მოვლა - დამუშავების საფუძველზე გაადიდოს ჩაის მოსავლიანობა 1937 წლისათვის 1500 კილოგრამით ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 956 კილოგრამისა ჰექტარზე და სხვ. დირექციამ ვალდებულება იკისრა 1937 წლისათვის ძირითადად დააკმაყოფილოს შესაფერი ბინებით მუშა-მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ახლო ხანში სანიმუშო საბჭოთა მეურნეობად გადაიქცევა.

წალენჯიხის რაიონმა, ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დამუშავებას, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების ბოლშევიკური პროგრამის რეალიზაციის საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი. ამოცანა ისაა, რომ მან კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა არტელის სტალინური წესდების განუხრელად გასატარებლად, რომ უახლოეს დროს აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი.

გრ. სირაძე.

სანდრო ეული

მოწოდება

ვისაც გული ბრძოლის ცეცხლით
გიძგერთ ვაჟკაცურად,
ვისაც ძარღვში [illegible]
და გიშფოთავთ სული, —
ესპანეთის გმირ ხალხს ხელი
გაუწოდეთ ძმურად,
მიზანი ხომ ჩვენ ერთი გვაქვს
ბრძოლით დასახული!.

○

ვისაც გული აგინთიათ
ხალხთა სიყვარულით,
ფრთა შესხმულნი ესპანეთის
ბრძოლის ველზე დაჰქრით
ახლა უნდა შეიცვალოს
ტანჯვა სიხარულით,
ესპანეთის ხალხთან ერთად
სისხლს ბრძოლაში დაღვრით!
ვინც გაზრდილხართ დედის რძით და
ვინც ფიცულობთ დედას,
ვინც შვილისთვის თავს შესწირავთ,
რომ არ შედრკეთ მყისვე,
დოლორეს და გმირ ქალ-ვაჟებს
თქვენ ბრძოლაში ხედავთ,
თქვენც მათთან ხართ,—გამარჯვების
იმედით გულს ივსებთ.

○

ესპანეთო, თუმც გარტყია
გარს მტრის ცეცხლის ქარი,
შენს მიწაზე სისხლს ატბორებს
გენერალი ფრანკო,
მაგრამ დიდი საბჭოეთის
არ გშორდება თვალი,
რომ მოსისხლე შენს ჯალათებს
რისხვა არ დააკლო!

◇

აჭარის პრესა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე

(ბათუმი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში თქვენმა კორესპონდენტმა შეამოწმა, თუ როგორ აშუქებს აჭარის საოლქო და რაიონული გაზეთები საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მე-5 პლენუმზე ამხ. ლ. ბერიას მიერ წაკითხულ მოხსენებაში დასახულ ღონისძიებათა და მითითებათა განხორციელებას.

გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ" (რედაქტორი ამხ. დ. დუმბაძე) 26 სექტემბრამდე ამ საკითხს უძღვნა სამი გვერდი და რამდენიმე ცალკე კორესპონდენცია იმაზე, თუ როგორ იბრძვიან რაიონული პარტიული ორგანიზაციები ამხ. ბერიას მითითებათა განხორციელებისათვის. აგრეთვე ნაჩვენებია ცალკე სტახანოველთა, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მუშაობა კოლმეურნეობაში არსებულ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად და სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების [illegible] განსახორციელებლად.

სამწუხაროდ გაზეთი „ბატუმსკი რაბოჩი" (რედაქტორი ამხ. ანასტასიადი) დაკმაყოფილდა ამხ. ბერიას მოხსენების მოთავსებით და დღემდე თითქმის არცერთი კონკრეტული მასალა არ მოუთავსებია იმაზე, თუ სად როგორ იბრძვიან რაიონული პარტიული, საბჭოთა სამიწათმოქმედო ორგანიზაციები ამხ. ბერიას მითითებათა შესასრულებლად. გაზეთს დაავიწყდა, რომ ამხ. ბერიას მოხსენება გაშლილი პროგრამაა კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის.

როგორც „კომუნისტში" იყო მოთავსებული აჭაროლქკომში 18 სექტემბერს ამხ. გეურქოვის თავმჯდომარეობით შედგა თათბირი ამხ. ლ. ბერიას მითითებათა რეალიზაციისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა დასასახავად. თათბირს დაესწრნენ რაიკომების მდივნები, საბჭოთა მეურნეობის დირექტორები და სხვ. თათბირი საინტერესო იყო. მაგრამ ამის შესახებ „ბატომსკი რაბოჩის" ფურცლებზე საინფორმაციო ცნობასაც ვერ შეხვდებით.

რაიონული გაზეთები გარდა „ქობულეთელი კოლმეურნისა" (რედაქტორი ამხ. პეტრიაშვილი) სტრიქონსაც არ ათავსებენ ამ საკითხებზე (დაბეჭდეს მხოლოდ ამხ. ლ. ბერიას მოხსენება).

◇ ◇ ◇

თვითკრიტიკა ბრაზსა გვრის

(კოლმეურნის წერილი).

საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობაში ამხ. ლ. ბერიას მოხსენება „ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის" — ზერელედ დაამუშავეს.

კრების წინ მე საფუძვლიანად წაკითხული მქონდა ამხ. ლ. ბერიას მოხსენება. ბევრი ისეთი ნაკლი და შეცდომა, რასაც ამხ. ბერია ასახელებს თავის მოხსენებაში, ჩვენს კოლმეურნეობაშიაც ხშირია. ამიტომ მე თამამად გამოვედი იმ კრებაზე, სადაც ეს საკითხი მუშავდებოდა. მინდოდა ჩემი წინადადებებით და ფაქტებით საქმისთვის სარგებლობა მომეტანა. მაგრამ გამგეობის თავმჯდომარემ შ. ხუნაშვილმა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ილ. პავლიაშვილმა შემაწყვეტინეს და არ მომცეს საშუალება ნაკლზე მელაპარაკნა.

გამგეობა საკითხებს ისე სწყვეტს ხოლმე, რომ წევრთა საერთო კრებას 3 თვეში ერთხელაც არ იწვევს. უმიზნო მივლინებაში ანიავებენ საკოლმეურნეო ფულებს, 4 ჰექტარი ბაღი პირუტყვმა გაანადგურა, 5 ჰექტარი სიმინდის ყანა გაუთოხნავი გაუფუჭდათ, 3 ჰექტარი ახალი ვაზი მოუვლელია. მუშა-პირუტყვს უდიერად ეპყრობიან (დღედაღამე შეუსვენებლად ამუშავებენ და რიგიანად არ ჰკვებავენ).

ჩვენს კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა იცის რაიმიწგანის გამგემაც, მაგრამ ყურადღებას არ გვაქცევს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე წევრებს არაფერს გვეკითხება და ისე სწყვეტს მნიშვნელოვან საკითხებს. ხოლო როცა ნაკლოვანებებზე ამხანაგურად მივუთითებთ, მაშინ ამხ. ხუნაშვილს ბრაზი მოსდის და უწმაწური სიტყვებით გვიმასპინძლდება.

ვფიქრობ, ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელთ თვითკრიტიკის ჩახშობას არ აპატიებენ.

ქ. პაპუნაშვილი.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

ადათის დასასრული

ოჯახის თვალია ბექმურზა ფარჯიანი. დიდი და პატარა მას შეხარის, მის მზეს ფიცულობს, მისი მარჯვენის შემყურეა. არც ბექმურზა აკლებს ოჯახს მზრუნველობას. ჯანითა და ღონით სავსე ვაჟკაცია. სად არ დაამტკიცა მან თავისი სიმამაცე? მათ სოფლამდე გზა რომ გაჰყავდათ, საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა და ისე მედგრად მუშაობდა, რომ ოცი დღის სამუშაო ათ დღეში მოათავა. ხეტყის მოჭრაშიც ვერავინ სჯობნის. ოქროს ძიებაა და მისი არტელი ყოველთვის მოწინავეა: ენგურს ისეთ ნაპირებზე აჰყვება, სადაც ადამიანს თვალიც კი ებნევა, არამც თუ ფეხი.

როდესაც თემში რამე საქმეა გასაკეთებელი, მთელი სოფელი ამბობს:

— ბექმურზა ფარჯიანს დავუძახოთ.

— ბექმურზას დავავალოთ...

მესტიაც ამას ამბობს. მესტიაც ბექმურზას თვალით იცქირება.

მან პირველმა ააგო სოფელში ფანჯრიანი სახლი. ოჯახი მაჩუბიდან *) გამოიყვანა, ნათელ ოთახში შესახლდა. საქონელს მოაცილა თავისი ცხოვრება. ამის შემდეგ მას მთელი სოფელი ხუმრობით ფარჯიანის მაგიერ ფანჯრიანს უწოდებს. ცოტა ხნის შემდეგ კი დანარჩენებმაც რომ მას წაბაძეს, ახალი სახლები რომ აიშენეს და თვითონაც ფანჯრიანები გახდნენ, უკვე სიყვარულით იგონებენ მის პირველმერცხლობას.

ერთი დარდი აქვს ბექმურზას, მოსისხლე მტერი ჰყავს—ადილარ გირგვლიანი. გაზაფხული დგება თუ არა, მთასა და ტყეს თოვლი რომ შემოადნება. როცა ადამიანი ლაღ ბუნებაში ლაღად გადის, მაშინ ბექმურზა ყოველ ცისმარე დილას სიკვდილს ელოდება. შეკრთალივით დადის, თითქოს ყოველ რომ მის ყურებს ტყვიის ზუზუნი ესმის...

სამასი წლის წინათ რომელიღაც გირგვლიანმა რომელიღაც ფარჯიანს საცოლე წაართვა, მაშინ ფარჯიანმა ისისხლა და მას შემდეგ სამასი წელი ერთმანეთს მტრობენ, ერთიმეორეს საუკეთესოებს უხოცავენ. უკანასკნელად ბექმურზამ ათი წლის წინათ მამის სისხლი აიღო. ახლა ბევრს ნანობს, მაგრამ რა იცოდა, თუ ცხოვრება ასე საყვარელი გახდებოდა. ისეთი საყვარელი, რომ სასიკვდილოდ თავი დაენანებოდა.

დღეს ბექმურზა ტფილისიდან ბრუნდება. მას აცვია რძესავით თეთრმასრებიანი შავი ჩოხა, სვანური ქუდის ქვეშ სქელი წარბები მოუჩანს, დიდრონი თვალები, მზისა და მთის ჰავისაგან გარუჯულ სახეზე განსაკუთრებული სიხარულით გამოუკრთის. მისი გონება გარს ევლება თავის ოჯახს, სოფელს, თავის ქვეყანას. აღფრთოვანებული ბრუნდება იმ გამარჯვებით, რომელიც ოლიმპიადაზე სვანურმა გუნდმა მოიპოვა. ამ გუნდში ბექმურზას ხმა განსაკუთრებული სიძლიერით წკრიალებდა.

ფრთაშესხმულივით მიეშურება სოფელში. ბევრი ახალი ამბავი დაუხვდა. „გზა ლახამულამდე გაუყვანიათ", „დაშლილი ავტომობილი ბილიკებზე ცხენებით გადმოუტანიათ, აუწყვიათ და უკვე დაარიალებს ახლადგაყვანილ გზაზე", და რაც მთავარია — „დღეს თემში საზოგადო კრებაა".

საღამოს ხანს, როდესაც მზე ლაილაშს *) გადასცილდება, როდესაც მისი სხივები მხოლოდ თეთნულდსა და უშბას ბროლის მწვერვალებს შეეხება, ხოლო გარშემორტყმული მწვანე მთები ბინდში გაეხვევა. სოფლის კლუბში გლეხობა იკრიბება. აქ არიან თეთრწვერულა ვაშიანი მოხუცები, ტკბილად და დინჯად მოსაუბრენი. არიან თეთრთავსაფრიანი ქალები, ახალგაზრდები ხალისიანი სახეებით და მუხლმაგარნი.

რაიკომის მდივანი, ტანმაღალი, ენერგიული სახისა და ენერგიულივე გამოთქმის კაცი, კრებას ხსნის. ჩამოვარდება სრული სიჩუმე და თვითეული დამსწრე სმენად არის გადაქცეული. ისმენენ სტალინის კონსტიტუციას. კითხვა თავდება და ტაშის გრიალი პატარა კლუბის ჭერსა და კედლებს აზანზარებს, თითქოს ანგრევს.

ტრიბუნასთან გამოდის მოხუცი გლეხი. მისი კარგა შეთეთრებული წვერი მკერდს ებჯინება. პირველად ამბობს სიტყვას და შეკრთალად იცქირება. შიშობს, აზრი არ შეეშალოს, მერე კი თამამდება და ამბობს:

— მეზობლებო, ჩემი სოფლის შვილებო... ოთხმოცი წლის კაცი ვარ, ხალხზე ასეთი ზრუნვა ჯერ არ მინახავს. როგორც პატარობიდან მახსოვს, ბატონებისა და მდიდრებისათვის სხვა კანონები იწერებოდა, საწყალი ხალხისათვის სხვა. ღარიბს მხოლოდ უნდა ეტანჯნა და გაჭირვებაში მომკვდარიყო. ეს კანონი კი სიცოცხლისათვის არის დაწერილი, კარგი სიცოცხლისათვის. ნეტავი მოხუცი არ ვიყო, მუშაობა აღარ შემიძლია.

გაჩუმდა, კარგა ხანს იდგა და უსიტყვოდ უცქეროდა ხალხს, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდაო, მაგრამ ხელი ჩაიქნია და ხალხში გავიდა.

მერე გამოვიდა თავსაფრიანი ქალი. ის მორცხვად გრძნობდა თავს. თავსაფარი თითქმის თვალებზე ჩამოეწია, ცალ ხელს ტუჩებზე იფარებდა:

ხალხო, — დაიწყო მან, — ვენაცვალე მაგ დაწერილსაც და მაგის დამწერსაც. ქალებს რომ ასე დიდ ყურადღებას გვაქცევს და გვაფასებს, ქალების უფლებას რომ [illegible] მამაკაცებთან ერთად, ვიშრომოთ, ვიზრუნოთ სოფლისთვის და ქვეყნის საქმეებიც ვაკეთოთ. წინათ ჩვენს მხარეში ქალს დაბადების უფლებაც კი არა ჰქონდა. ბავშვი რომ დაიბადებოდა, თუ გოგო იყო, პირში ნაცარს აყრიდნენ და ჰკლავდნენ. ჩვენს დაბადებას სვანის ოჯახში გლოვა და მწუხარება შეჰქონდა. გასათხოვარ ქალს ჰყიდიდნენ და ყიდულობდნენ. ახლა უსამართლო მოპყრობისაგან ეგ კანონი დაგვიფარავს.

მას განსაკუთრებით ქალებმა დაუკრეს ტაში. მამაკაცები მის ლაპარაკზე თანაგრძნობით იღიმებოდნენ, მათაც უხაროდათ.

ჩაფიქრებული, ნელი ნაბიჯით გამოვიდა ბექმურზა. მან დინჯად გადახედა კრებას და წამოიწყო:

— ამხანაგებო, მე ამ ოთხი საათის წინათ ტფილისში ვიყავი, ერთი საათიც არ არის, რაც გადმოვფრინდი. აქედან წასულებმა ტფილისში კარგი სახელი დავტოვეთ. ხალხის ჯარი ტაშს გვიკრავდა და გვიწონებდა სიმღერას, ამ სიტყვებზე ბექმურზა გაჩუმდა, თითქოს ხალხში ვიღაცას ძებნა დაუწყო, მერე კრების ერთ მხარეს შეეკითხა: — მოხუცებო, თქვენ გახსოვთ, რომ რომელიმე მთავრობას ასეთ საქმეზე სადმე წაეყვანეთ?...

— არ წაგვიყვანივართ, არა, საიდან გვეხსომება!...

— ჩვენ სასიმღეროდ ვინ წაგვიყვანდა, ან და ხმის თავი სად გვქონდა — წაილაპარაკეს აქა-იქ.

— ცხადია, არ წაგიყვანდნენ. ამას მხოლოდ სტალინის პარტია სჩადის. იმიტომ რომ ხალხისათვის საამური ცხოვრება შექმნა. ეგ კანონპროექტი საამურ ცხოვრებისათვის არის დაწერილი. მაგალითად, მანდ სწერია, ყოველ მოქალაქეს აქვს შრომის უფლებაო. განა ძველ დროში მშრომელს ჰქონდა შრომის ნამდვილი უფლება? რაზე უნდა ემუშავა სვანს უპატრონოდ მივდებულ მთებში... სტალინმა კი შრომის უფლებაც მოგვცა და საქმეც გაგვიჩინა. გზის მშენებლობა, დარიშხანის წარმოება, ოქროს ძიება, ხეტყის წარმოება, განა ეს შრომის უფლებასთან ერთად, სვანეთის აყვავება არ არის?..

ბექმურზას გლეხობა აღტაცებული უსმენდა. ისინი შიგ სახეში შესცქეროდნენ. მათ უნდოდათ კიდევ დიდხანს ელაპარაკა, ერთსულოვანი სიყვარულით შეათავსეს და მეორე საკითხზე გადავიდნენ.

— ამხანაგებო, — სთქვა რაიკომის მდივანმა, — სტალინის პარტია მოგვიწოდებს, ადათით მოსისხლე მტრები შევრიგდეთ. ბედნიერი ცხოვრება დაგვიდგა და ერთმანეთს კი სიკვდილს ვემუქრებით.

ამ წინადადებამ ბექმურზა შეაშფოთა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ამავე დროს სიხარულის სხივიც შეეპარა გულში. ის, რაც ათი წელი ტანჯვად დაჰყვებოდა, დღეს სტალინის პარტიის მოწოდებით უნდა ძირფესვიანად აღმოფხვრილიყო. ბექმურზასთანა ბევრი იყო ამ ხალხში. მათაც სიკვდილის განაჩენი ეხსნებოდათ.

მახვშები *) აღელდნენ:

— წორი *) გადაიხადონ, შერიგება ისე მოაწყონ...

— ეს სილაჩრეა, რა ვაჟკაცობაა, სისხლი არ აიღო...

მახვშებს აჰყვნენ ისინი, ვისაც სისხლი ასაღები ჰქონდათ. ამბობდნენ:

— დაჩაგრული ვიქნებით, სირცხვილია, სილაჩრეა...

მაგრამ ახალგაზრდობის ხმამ დასძლია ერთი მუჭა მახვშების სიჯიუტე. ბავშვებიც კი ლაპარაკობდნენ თავიანთი მამებისა და ძმების სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. აიყოლიეს დაზარალებულნიც და ბოლოს სასოფლო კრებამ ერთხმად დაადგინა მოსისხლეების შერიგება.

○

შუადღე გადასული იქნებოდა, როდესაც მესტიიდან მომაგრებულ პარტიულ ამხანაგებს ბექმურზა ფარჯიანი, ადილარ გირგვლიანის ოჯახში მიჰყავდათ.

— კრებაზე თანხმობა განაცხადა, არც ეხლა იტყვის უარს. — ეუბნებოდნენ ბექმურზას გამყოლები, ის კი უსიტყვოდ და მდუმარედ მიჰყვებოდა.

როდესაც მოსისხლის სახლკარს მიუახლოვდნენ, ბექმურზას მთელი სხეული აუთრთოლდა. ასე ეგონა მაჩუბის სათოფურიდან მოსისხლის თოფი და თვალი უცქეროდა.

მაგრამ მაჩუბის კარი გაიღო და სტუმრებს დიასახლისი შემოეგებათ. შინ რომ შევიდნენ, ოთახის შუაგულს გაშლილი სუფრა შენიშნეს. მაგიდაზე ჩამოლაგებული იყო ჯამები, კათხები, კოვზები. უხვად ეწყო მოხარშული ძროხის ხორცი, პური, ყველი, არყით სავსე ხელადები. მიწურზე ბავშვები დარბოდნენ. უხაროდათ, რომ ოჯახს ქეიფი მოელოდა. ადილარ გირგვლიანი მეორე ოთახში ნერვიულად ჩიბუხს აბოლებდა. ის რამდენჯერმე წამოდგა, კარებისკენ გაემართა, მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა აჩერებდა. ხანდახან ახედავდა კედელზე ჩამოკიდებულ მოსევადებულ თოფს, თითქოს ხელი მისკენაც მიუწევდა, მაგრამ ისევე შინაგანი ხმა აჩერებდა.

აი ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. ბექმურზა თავდახრილია და დარცხვენილად გრძნობს თავს. პური გატეხეს, ხელადებიდან მოაჩქეფს თეთრი ანკარა არაყი. კათხები ივსება.

— ადილარს გაუმარჯოს! ამბობს პირველ სადღეგრძელოს ბექმურზას მომყოლი. ის ვერც კი ასწრებს სადღეგრძელოს დათავებას, რომ მოპირდაპირე კარი იღება და შემოდის ადილარი.

პირდაპირი ნაბიჯით უახლოვდება სუფრას.

— ყოჩა ლა დელ *) — მიმართავს ყველას თავის დაკვრით.

მის დანახვაზე ბექმურზა ფეხზე წამოდგა. მორჩილად თავი დაბლა დახარა. არყით სავსე კათხა მაგიდაზე დასდო და გაჩერდა.

ადილარმა გადახედა და ხმამაღლა უთხრა.

— შენც გაგიმარჯოს!—ჩემს ოჯახში შემოსულხარ, მტერი აღარა ხარ!..

— გმადლობ, იცოცხლე! უპასუხებს ისიც.

— ალავერდი ბექმურზასთან!.. სიტყვა შენია, ბექმურზა! მიაძახეს ამხანაგებმა და მანაც უკვე წყნარი ხმით წამოიწყო:

— შენი დღეგრძელობა მინდა, თუმცა დამნაშავე ვარ შენთან. დავივიწყოთ რაც იყო. დღეს აღარ ვარგა კაცის კვლა. ძველ დროებას რა გვახარებდა? თუ ვინმეს მოვიკლავდნენ, მეც მოვუკლავდი და მერე სულერთი იყო, რაც მომივიდოდა. მაინც ან შიმშილით მოვკვდებოდი, ან სადმე კლდეზე გადვიჩეხებოდი. დღეს ცხოვრება უკვე საამური და ტკბილია. დღეს სიკვდილი აღარ მინდა. ცხოვრება წინ მიდის. ჩემი ბავშვები ყველანი სწავლობენ, იმათ ბედნიერებას ველი. ყველაფერი უხვად იშოვება, მაძღარი ვარ. ვნანობ, რომ ასეთი საქმე ჩავიდინე. მაპატიე, მეც შემიბრალე, მან შემდეგ სულ ფრთხილად, მალულად დავიარები. ჩემი ოჯახის ალერსი მაკლია. შენი ოჯახისაც. შენც მეზობელი ხარ. შენი ხარი მაკლია, შენი ნუგეში და შენი დახმარება. შენი ბავშვების ალერსი ჩემი ბავშვებისაა. შენი ხარები ჩემს ყანაში რომ შემოდიოდნენ, ჭირნახული მთლად რომ შეეჭამათ, ჩემი ბავშვები მაინც ხელს არ ახლებდნენ. მამიჩვენის ცოდვას ადილარის გაბრაზება არ დავუმატოთ...

აქ ბექმურზა შეჩერდა. გრძნობები ისე მოაწვა, რომ გული აუჩუყდა და სიტყვის მაგიერ სიმღერა წამოიწყო:

„ოოო ამინი, ოოო ამინი, *)
ვისიც სადღეგრძელო იყოს,
მისი მრავალჟამიერ.

მის სიმღერას აჰყვნენ სხვებიც და ოთახი გულმხიარულმა ქეიფმა აავსო. სადღეგრძელო დალიეს და სამასი წლის განმავლობაში მტრულად განწყობილმა მეზობლებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს.

ამ კოცნის შემდეგ სადღეგრძელოები ერთმანეთს სცვლიდნენ, სიმღერა სიმღერას.

— მაშ ვუმღეროთ მას, ვინც ეს ბედნიერება მოგვანიჭა. — წარმოსთქვა ბექმურზამ და თვითვე წამოიწყო:

დიდაბი, დიდაბ, ხოშამ სტალინს*)
ოორია, რეერია, ოოო!..

ეს ხმა და სიტყვები მთიდან მთაზე გადადიოდა. ეს სახელი ამ მთებსა და სოფლებს ამცნობდა ბედნიერი ცხოვრების დასაწყისს.

○

ორი კვირის შემდეგ გირგვლიანის სახლკარზე „წორის" მაგიერ ბექმურზამ საჩუქრად საშენი მასალა და ლურსმანი მიუტანა.

— ადილარ, ფანჯრიანი სახლი აიშენე, მაჩუბიდან გამოდი, ბავშვები ცოდო არიან საქონელთან ცხოვრებით. ხეილიდან ოქროს საძებნელად შენც წამოდი, ჩემს არტელში ჩაგრიცხავ.

მართლაც გირგვლიანის საგვარეულო კოშკის წინ ნელნელ შენდება [illegible] ბინა. ისეთივე მზიანი, როგორც ახალი ცხოვრება.

◆

---

*) სვანის სახლი, უფანჯრო და სათავსოებიანი, სადაც საქონელთან ერთად ცხოვრობენ.

*) მთაა, მოჩანს მესტიიდან.

*) მახვში — გვარის უფროსი, მოსისხლეთა მომრიგებელი.

*) წორო — მოკლულის ასანაზღაურებელი: 12 ულელი ხარი, ექვსდღიური მიწა, ხუთდღიური სათიბი, მოკლულის ყველა ნათესავთაგან მკვლელის ყველა ნათესავთათვის საჩუქარი.

*) ბედნიერი დღე!

*) ოოო ამინი—ამინ!

*) დიდება, დიდება დიდ სტალინს..

კატარა ფელეტონი

დასკვნის დასკვნა

— მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო! —იწყებს მომხსენებელი.

— რა ვუყოთ მერე?

— როგორ თუ რა ვუყოთ!

— აბა, ვქით ყანყრატოში!

— კი არ ვეცემით, მაგრამ..

— რა მაგრამ? დანაშაულს თვითონვე აღიარებენ და...

— დანაშაულის აღიარება პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს ადამიანს. აბა ჩამოახრჩვეთ ახლა მაგისთვის!

დაიწყებს თუ არა მომხსენებელი თავისი აზრის ჩამოყალიბებას, აუდიტორიიდან წამოვა რეპლიკების ტალღა ისე მძლავრად, თითქოს ლამობს წალეკოს მომხსენებელი.

ფაქტი დადასტურებულია. ბათომის სამეანო-გინეკოლოგიურ საავადმყოფოში, ისიც აბორტის აკრძალვის შესახებ მიმდინარე წლის 28 ივნისის გამოქვეყნებული ისტორიული კანონის შემდეგ, ჩადენილია მიუტევებელი დანაშაული. ექიმებმა ხინინოვამ და ქეთევან ხოროშანსკაიამ საექიმო კომისიის დასკვნის გარეშე, ფარულად, ნათესაობის თუ გამორჩენის გულისათვის, აბორტი გაუკეთეს სრულიად ჯანსაღ ქალს.

ვინც ეს ამბავი იცის, დიდია თუ პატარა, ყველა აღშფოთებულია და მოელის ღირსეულ მსჯავრს.

ბათომის ქალაქის საბჭოშიაც ამაზეა დღეს ბჭობა. ერთის ნაცვლად სამია მომხსენებელი: თორაშვილი, ხელიძე, მელიაკოვა. სამივე სპეციალურად გამოყოფილი კომისიის წევრია. აქვეა არის ექიმი-აბორტმახერი—ხინინოვაც, საავადმყოფოს დირექტორი ზ. შარაძეც, ამირიძე, მიხეილიანი და სხვები. ზოგი აზრს გამოთქვამს, ზოგი უაზრობას, ზოგიც კიდევ მწუხარებს.

— მაშასადამე, უდავოა, რომ აქ საქმე გვაქვს აბორტის ფარულად გაკეთებასთან,—ასკვნის მომხსენებელი.

— ფარული თუ იყო, როგორ გაიგო მთელმა ქალაქმა, — ოხუნჯობს ვიღაც.

— ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, უკანონობა ხომ არის ჩადენილი!

— რა ვუყოთ, კაცო, შეცდომა ვის არ მოუვა!

— ასე თუ ისე, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ამ ფაქტს, ჩვენ ერთგვარი დასკვნა უნდა გავაკეთოთ...

— აუცილებელია ეგთომ?

— მე მგონია არ ღირს გახმაურება.

— უბედურებაც იმაშია, რომ გახმაურებულია.

და ამ შეხლა-შემოხლის, აზრთა-გაცვლა გამოცვლის და მწუხარებათა და თანაგრძნობათა გამოთქმის შედეგად როგორც იქნა გამოიტანეს „დასკვნა" (იხ. ბათომის საბჭოს პრეზიდიუმის 28 აგვისტოს სხდომის ოქმი № 14).

„დასკვნა", რომელიც მიიღო საბჭოს სხდომამ, აღსავსეა სინანულით ამ ფაქტის გამო. გულმოკლეებული სინანული და სიბრალული წითელი ზოლივით მიჰყვება დადგენილებას დასკვნით ნაწილამდე. აბა, დააკვირდით:

„დაადგინეს:

...კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა დამტკიცდეს"...

— კარგი და კეთილი!

...„აღინიშნოს, რომ ქ. ბათომის გინეკოლოგიურ საავადმყოფოში წინააღმდეგ მთავრობის დადგენილებისა ადგილი მიეცა (ოქმის სტილს სიტყვა-სიტყვით ვიცავთ. გ. შ.) უკანონო აბორტის გაკეთების შემთხვევას მოქ. სარქისოვას ქალისათვის"...

— კარგი და კეთილი! „ადგილი მიეცა"!

...„საავადმყოფოს ადმინისტრაციამ და მეთვალყურეობამ ვერ გააკეთეს საჭირო დასკვნა (?) მთავრობის დადგენილებიდან აბორტის აკრძალვის შესახებ"...

ალბათ მკითხველი ახლა მოელის ისეთ მაგარ დასკვნას, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩება. მაგრამ... უნაზესი საყვედური აბორტმახერებს ხინინოვას და ხოროშანსკაიას!

ეს არის და ეს. თურმე ნუ იტყვით, ეს ყოფილა „საჭირო დასკვნა"!

ჩვენის აზრით, ამ დასკვნას კიდევ ესაჭიროება დასკვნა.

სახელდობრ ისეთი: აბორტმახერები ხინინოვა და ხოროშანსკაია უნდა დაისაჯონ მთელი სისასტიკით ამა წლის 28 ივნისის კანონის თანახმად, რომლიდანაც მათ „ვერ გამოიტანეს საჭირო დასკვნა". დასკვნა ამ კანონში მკაფიოდ არის მოცემული. მათთან ერთად უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც მათ ხელი შეუწყეს ბოროტმოქმედებაში, ვინც ამ საქმის მიფუჩეჩებას ცდილობს, უნდა დაისაჯოს სარქისოვას ქალიც, რომელმაც ერთი შვილი წაართვა სოციალისტურ სამშობლოს.

გერმან შუბიძე

არსენას ძეგლი დავუდგათ.

მიხეილ ჯავახიშვილი

ამას წინათ „კომუნისტში" ლ. ძნელაძის წერილი წავიკითხე, ის სურვილს გამოსთქვამს, არსენა ოძელაშვილს ძეგლი დავუდგათო. ამგვარი აზრი მეც გამომითქვამს სიტყვიერად და სხვებისაგანაც მრავალჯერ მომისმენია. ერთ დროს საქმესაც შევუდექით. მაგრამ იგი ბოლომდის ვეღარ დავძარით და თავი მივანებეთ. ლ. ძნელაძე ხელახლა აცოცხლებს ამ აზრს, იგი უკვე მომწიფდა და ხორცის შესხმას ელის.

არსენა ზოგადი სახეა მებრძოლი გლეხობის. მათ ასობით და ათასობით გასწირეს თავი არსენამდის და არსენას შემდეგაც. მათ დიადი ოქტომბრის შემზადებაში მოზრდილი წვლილი შეიტანეს და საუკუნით დაიმსახურეს ერთი საერთო ძეგლი, რომელმაც შემდგომ თაობებს ნიადაგ უნდა გაახსენოს ხოლმე მათი ღვაწლი და საგმირო საქმენი.

სამოსამსახურო მეძაღლეობის საკავშირო დათვალიერება

დღეს, 6 ოქტომბერს ტფილისში იწყება სასამსახურო მეძაღლეობის მე-12 საკავშირო დათვალიერება. დათვალიერების ლოზუნგია: „მივცეთ სოციალისტურ სამშობლოს კიდევ ათასობით კავკასიური ნაგაზი". დათვალიერება იწყება საკავშირო თათბირით, რომელიც გაიხსნება დღეს დილის 10 საათზე თავდაცვის სახლში.

სურათზე: კავკასიური ნაგაზი ბაირამი (ზოგდანოვკის რაიონიდან).

მაყურებლებს კულტურული მომსახურება

ორიარუსიანი, მხატვრულად გაფორმებული ფოიე რუსთაველის თეატრში

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრი თავისი შენობის გაფართოების მწვავე საჭიროებას განიცდიდა მაყურებელთა კულტურული მომსახურებისათვის. თეატრის ფოიეში სივიწროვე იყო, გარდერობები მოუხერხებელი და სხვ. ამ ნაკლთა გამოსასწორებლად თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ მიიღო თეატრის შენობის სარდაფის სართული. ოთხი თვის განმავლობაში ორცვლიანი მუშაობა სწარმოებდა ამ სართულის გადასაკეთებლად და წესრიგში მოსაყვანად. მუშაობაში ჩაბმული იყვნენ მხატვარი ბენო თავისი ბრიგადით, საუკეთესო მოზაიკოსები ამხ. ოლიაროვი, ეგნიკე და სხვა ხელოსნები.

ამჟამად შენობის რეკონსტრუქცია დამთავრებულია. აქ მოწყობილია დიდი ფოიე, ფართო სავარძლებით, ორ დარბაზში კარგად მოწყობილი ბუფეტი, საპარიკმახეროები, წიგნ-გაზეთების კიოსკი, სამედიცინო პუნქტის ოთახები, თამბაქოს მოსაწევი დარბაზი, ფეხსაცმლის გასაწმენდი ოთახი, ქალების ბუდუარი, სატუალეტო ოთახები და სხვა.

ამგვარად ახალ სეზონში თეატრს ექნება ორიარუსიანი, მხატვრულად გაფორმებული და კულტურულად მოწყობილი ფოიე მაყურებლებისათვის.

არ. კოკილაშვილი

შემთხვევა მთათუშეთში

საქ. კ.პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანს ამხ. კარსანიძეს ქვემოალვნის საბჭოდან აცნობეს:

— მთათუშეთის საზაფხულო საძოვრებიდან დაბრუნებულ ქვემოალვნის „წითელი თუშეთის" კოლმეურნეობის 9000 სულ ცხვარს, 200 ცხენს, 160 მსხვილფეხა რქოსან საქონელს და ბარად მომავალ თუშთა ოჯახებს გზაში მოულოდნელად მოუსწრო თოვლმა, ჩაუკეტა მათ წამოსასვლელი და უკან გასასვლელი გზები. ხალხი, რიცხვით 60 სული, პირუტყვთან ერთად, სიმშილის საფრთხის წინაშეა, სიცივისაგან ბავშვებსა და ხანში შესულებს საფრთხე მოელით, გთხოვთ დახმარებას.

— ეს იყო 25 სექტემბერს. პირუტყვი და ხალხი მთათუშეთიდან წამოსულიყო 20 სექტემბერს.

ცნობის მიღებისთანავე რაიკომის მდივანი ამხ. კარსანიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ნაცვლიშვილი და შინსახკომის რწმუნებული თელავის რაიონში ამხ. კვინიკაძე გაემგზავრნენ სოფელ ალვანში მდგომარეობის დაწვრილებით გასაცნობად.

გზაში მათ შემოხვდათ ზემოალვნის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორდენოსანი ამხ. ქ. ლაგაზიძე, რომელსაც მანქანით მოჰყავდა ზვავებში მოყოლის დროს დაშავებული მწყემსი ამხ. გიორგი ქავთარიშვილი. მან ამხანაგებს უამბო:

— ჩვენი ცხვარი საზაფხულოდ გვედგა ველკეთილის მთებში. გზაში ხაილს მოუსწრო თოვლმა და წამოვიდა ზვავები; ზვავმა წაიღო 358 სული თოხლი, რომელიც მთლად დაიღუპა. ზვავის წამოსვლა შევამჩნიე თუ არა, მაშინვე ვანიშნე ამ ცხვრებთან მომყოლ მწყემს ამხ. გიორგი ქავთარიშვილს, მოშორებოდა და თავი შეეფარებინა დიდი ტინისათვის; მან ეს გაიგო, მაგრამ ცხვარს თავი არ გაანება, საჩქაროდ დაუწყო მას მეორე ფერდობისაკენ გადარეკვა, მაგრამ ვერ მოასწრო... ზვავმა ცხვართან ერთად დაიტანა ეს ამხანაგიც.

ამხ. ქავთარიშვილს მოტეხილი აღმოაჩნდა მარჯვენა ხელი, დაზიანებული აქვს პირისახის მარჯვენა მხარე.

ქვემოალვნის საბჭოსთან ხალხს თავი მოეყარა და ესაუბრებოდნენ თოვლში მომწყვდეულთა ერთ წარმომადგენელს ამხ. არინდაულს, რომელიც ხოხვით, როგორც იყო, გადმოვიდა მთებზე ამბის შესატყობინებლად.

რაიკომის მდივნის შეკითხვაზე—რომელ მთებში მოემწყვდა ხალხი და პირუტყვი, ან რა უჭირთ, არინდაულმა უპასუხა:

— დაიძრა თუ არა მთელი ცხვარი და პირუტყვი საძოვრებიდან ბარისაკენ, მოსახლეობაც გამოგვყვა უკან. მშვიდობიანად გამოვიარეთ გომეწრის ხეობა, გადმოვედით ფარსმის და ორწყალში დავბანაკდით. ღამით მოვიდა ძლიერი თოვლი, ეს ჩვენ გვეუცხოვა: მთის სიარულში გამოცდილები ვართ, და ასე ადრე თოვლი და ისიც ასეთი დიდი, ჯერ არ გვინახავს. ყველას გვეგონა მაღლა ცერზე არ იქნებოდა თოვლი, მეორე დღეს დილით განვაგრძეთ გზა. მივდიოდით სიფრთხილით, რადგან ბავშვებს, ქალებს და მსხვილფეხა საქონელს, ბარგით დატვირთულ ცხენებს უჭირდებოდათ სვლა. მაინც, როგორც იყო, გადმოვედით დიდგვერდში. აქ თოვლმა იმატა, ისე რომ ნაქერალის მთა დაიფარა ნახევარ მეტრზე მეტი თოვლით. მაშინ კი ვეღარ შევძელით გადმოსვლა, რის გამოც დავბანაკდით იქვე, დიდგვერდის ძირში. საკვები შემოგვაკლდა, 40 მწყემსი და დანარჩენი ოჯახიანი მგზავრები გაჭირვებაში ჩავვარდით. ბავშვების ცოდოს ვეღარ გავუძელი და გადავწყვიტე: გინდ გზაში დავღუპულიყავი, გადავსულიყავი და შემეტყობინებინა სოფლისათვის, თქვენთვის—იქნებ როგორმე გვიშველოთ...

საქმის მდგომარეობა მაშინვე ეცნობა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს. გამოიყო მთავრობის კომისია ამხანაგების: ბაგატუროვის, ავარამის, დავითოვისა და კარსანიძის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა თოვლიან მთებში მომწყვდეული ხალხის და პირუტყვის გადარჩენა.

კომისიის წევრები თელავს ჩამოვიდნენ 26 სექტემბერს დილით. პირველი მათი გადაწყვეტილება იყო მთაში მომწყვდეულთათვის საკვების მიწოდება.

ეს შეიძლებოდა მხოლოდ ავიაციით, მხოლოდ საბჭოთა მფრინავები თუ შესძლებდნენ კავკასიონის მთების სუსხიან პირობებში, 4.500 მეტრის სიმაღლეზე ფრენით მიეწოდებინათ დამშეულთათვის საჭმელ-საკვები.

თელავმა მიიღო რადიოგრამა, რომ 27 სექტემბერს დილის 7 საათზე, ამიერ-კავკასიის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საუკეთესო მფრინავი, ორდენოსანი ამხ. შალიკო ჭანკოტაძე მოფრინდებოდა, და რომ მისთვის ვემზადებინათ ტომრებში საკვები მაღლიდან ჩასაყრელად.

რადიოგრამის მიღებისთანავე საქ. კ.პ. (ბ) თელავის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. გიორგაძემ უზრუნველჰყო ყველაფრის მოწყობა საკვების თვითმფრინავით გადასატანად.

○

დიდგვერდის მთა კავკასიონის ერთერთი უმაღლესი მწვერვალია. მის ძირში იმყოფებოდნენ თოვლიან მთებში მომწყვდეული მწყემსები და პირუტყვი. მათ უკვე მეოთხე დღე იყო არ ჰქონდათ საკვები, იკვებებოდნენ გამხმარი ბალახით, სიცივეს თავისი გაჰქონდა, საჭირო იყო მწყემსების, განსაკუთრებით ბავშვების და ქალების შველა, მათი გადმოყვანა ბარში.

26 სექტემბერს საღამოს თელავის რაიკომის მდივნის ამხ. კარსანიძის მეთაურობით დიდგვერდის მიმართულებით გავიდა 150-მდე კაცი გზის გასაწმენდად და ხალხის დასახმარებლად. მეტად ძნელი და ამასთან რთული კლდიანი ადგილები უნდა გადაელახათ ამ ამხანაგებს, მეტრნახევრის თოვლის გატეხვა და მისგან ბილიკების გასუფთავება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ზემოალვნის შინსახკომის სახ. კოლმეურნეობის ორდენოსანმა თავმჯდომარემ ამხ. ქ. ლაგაზიძემ შეადგინა რაზმი 19 შერჩეული მამაცი კოლმეურნისაგან და შეუერთდა დანარჩენებს. მაშველმა რაზმმა 27 სექტემბერს დილით დაიწყო ნაქერალას მთაზე ასვლა და მისი თოვლით დაფარული ბილიკების გაწმენდა.

○

27 სექტემბერს დილის 7 საათზე, თელავში დაეშვა ორდენოსანი მფრინავი შ. ჭანკოტაძე, მას მხოლოდ ერთი აფიქრებდა: ზუსტად არ იცოდა ადგილი, სადაც ჩარჩენილი და მომწყვდეული იყვნენ მწყემსები და პირუტყვი. ამხ. ჭანკოტაძემ თვითმფრინავით წაიყვანა ამ სტრიქონების დამწერი, როგორც ამ მიდამოების კარგად მცოდნე. პირველ გაფრენას მიზნად ჰქონდა დასახული იმ ადგილის აღმოჩენა, სადაც ხალხი და პირუტყვი იყო მომწყვდეული. თვითმფრინავმა თან წაიღო 80 კილო პური და ამდენივე ქერი პირუტყვისათვის.

თვითმფრინავმა მიმართულება სწორად აიღო, მაგრამ 3500 მეტრის სიმაღლეზე შემხვედრმა სქელმა ნისლმა და სეტყვამ აიძულა ამხ. ჭანკოტაძე უკან დაბრუნებულიყო.

მეორე გაფრენაზე, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ამხ. ჭანკოტაძემ, რომელთანაც იყვნენ მთავრობის კომისიის წევრი ამხ. გ. დავითოვი და მე, აღმოაჩინა თოვლით დაფარულ მთებში ჩარჩენილი მწყემსები და პირუტყვი. მაშინვე მოეწყო საკვების ჩაყრა თვითმფრინავიდან. ამხ. ჭანკოტაძემ უზრუნველჰყო მათთვის 160 კილო პურის და ამდენივე ქერის გადატანა. ამასობაში მაშველი რაზმიც დიდგვერდამდე მიაღწია და 27 სექტემბერს საღამოს მივიდა ჩარჩენილ ხალხთან.

მაშველი რაზმის დანახვაზე მწყემსების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. 28 სექტემბერს მთელი ჩარჩენილი ხალხი და პირუტყვი ნაქერალას მთის კლდოვან ფერდობებს შემოეცილა და 29 სექტემბერს ყველანი უვნებლად იქნენ ჩამოყვანილი.

სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან თუში კოლმეურნეები. მათ პარტიის და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უანგარო სერიოზული დახმარებით თავიდან აიცილეს მოსალოდნელი დიდი დანაკლისი. და აკი ამიტომაც, თუში კოლმეურნენი, ყველა მშრომელნი ასე უსაზღვროდ ემადლიერებიან ლენინ-სტალინის პარტიას, მის გენიალურ მესაჭეს ბრძენ **სტალინს** და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ნაცად ხელმძღვანელს, მტკიცე სტალინელს ამხ. **ლავრენტი ბერიას**, რომელმაც მზრუნველობა და პირადი მეთვალყურეობა არ მოაკლო კავკასიონის უღრან მთებში ჩარჩენილ თუშ კოლმეურნეებს—მათი და მათივე პირუტყვის გადასარჩენი ოპერაციების წარმოების დროს.

„თასის" საზეიმო გადაცემა

დღეს, 4 ნახ. საათზე, „დინამოს" სტადიონზე მოხდება თასის საზეიმო გადაცემა ტფილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდისათვის, რომელმაც გამარჯვებით ჩაატარა მთელი გათამაშება, ექვსი შეჯიბრებიდან ხუთი მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა. გუნდმა სულ გაიტანა 29 ბურთი, თავის კარში კი მხოლოდ 6 მიიღო.

დღეს გამარჯვებული გუნდი თამაშობს „ლოკომოტივთან". მატჩი დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. საქართველოს ჩემპიონი — ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი გამოდის თავისი მებრძოლი შემადგენლობით: მეკარე — კასრაძე, მცველები — მინდელი და ყიფიანი, ნახევარმცველები — კოძისი, ქურციკიძე, კიკაძე, თავდამსხმელები — ბოლოტინი, რამიშვილი, ჩიტაია, ყალნიაშვა, იმნაძე.

სურათზე: მარცხნივ — გუნდის კაპიტანი ქ. ყალნიაშვა, შუაში ინდუსტრიული ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი, მარჯვნივ მეკარე — ი. კასრაძე.

ჩვენი გაზეთებიდან

ახალი ლენინგრადი პარიზის გამოფენაზე

პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე („თანამედროვე ცხოვრების ხელოვნება და ტექნიკა") ლენინგრადი წარმოდგენილი იქნება მრავალრიცხოვანი ექსპონატებით, რომლებიც უჩვენებენ ქალაქის ძველი რაიონების რეკონსტრუქციის და ახალ მშენებლობას.

ლენინგრადის საბჭოს 1-ლ არქიტექტურულ — საგეგმო განყოფილება გამოფენისათვის ამზადებს რამდენიმე დიდ მაკეტს, მათ შორის რევოლუციამდე არსებულ პეტერბურგის ერთერთ უბნის კვარტალს სამოქალაქო ქუჩისა და მოსკოვის არხის რაიონში; ახალ საცხოვრებელ კვარტალს მოსკოვის შოსეზე და ...

პარიზის გამოფენისათვის მზადდება ქალაქის ბევრ შენობათა და ანსამბლების სურათების გადაღება.

„ლენინგრადსკაია პრავდა".

○

ა. ს. პუშკინის იშვიათი წიგნები

ტამბოვის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკის წიგნთა არქივში აღმოჩენილია პუშკინის ნაწარმოებთა ძველი, იშვიათი გამოცემანი, რომლებიც დაბეჭდილია პოეტის სიცოცხლეშივე. მათ შორის არის „ბორის გოდუნოვი" და „ბალადები", გამოცემული 1837 წ., „ალექსანდრე პუშკინის ლექსები", რომლებიც გამოიცა 1885 წ. ნაპოვნია „რუსული პოეზიის პანთეონის" რამდენიმე წიგნი, რომლებიც გამოდიოდა 1815 წ. მათში დაბეჭდილია პუშკინის პირველი ლექსები. მოიპოვება აგრეთვე „ა. ს. პუშკინის თხზულებათა" მეოთხე ტომი, გამოცემული 1837 წ.

საინტერესოა პუშკინის ავტოგრაფები და ნახატების კრებული.

მთელი აღნიშნული მასალა გამოყენებულ იქნება პუშკინის საიუბილეო გამოფენისათვის.

„კომუნა".

○

პაწია დირიჟორის პირველი კონცერტი

30 სექტემბერს ლენინგრადის უდიდეს თეატრალურ დარბაზში — სერგო კიროვის კულტურის სახლში გაიმართა რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი 10 წლის დირიჟორის ნიკო ხირიელის ხელმძღვანელობით.

ბიჭი ხირიელი დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონია, ეს იყო მისი პირველი საჯარო გამოსვლა. ის დირიჟორობდა ორკესტრს შოპენისა და რიმსკი — კორსაკოვის ნაწარმოებთა შესრულებაში.

„ვეჩერნაია მოსკვა".

○

დარაჯის ანდერძი

ამას წინათ გარდაიცვალა 70 წლის ლ. მ. შუხმანოვი, რომელიც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის საკავშირო საპროექტო ბიუროს (ლენინგრადი) დარაჯად მუშაობდა. განსვენებულმა დატოვა ანდერძი: „გთხოვთ ჩემი სიკვდილის შემდეგ პირადი დაზღვევის თანხა გადასცეთ წითელი არმიის გასაძლიერებლად". სადაზღვევო პრემია 2.000 მანეთის რაოდენობით გადარიცხულია თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიმდინარე ანგარიშზე.

„კომსომოლსკაია პრავდა".

○

უბრუნდებიან პედაგოგიურ ფრონტს

340 ყოფილი პედაგოგი, რომლებიც დღემდე ეკონომისტებად, ბუხჰალტრებად, სამეურნეო ორგანოების სპეციალისტებად მუშაობდნენ, დაუბრუნდნენ პედაგოგიურ მუშაობას. ბევრ მათგანს პედაგოგიური მუშაობის 12—16 წლის სტაჟი აქვს.

განათლების საოლქო განყოფილება ყოველდღე ღებულობს ყოფილი პედაგოგების განცხადებებს, რომლებშიაც ისინი თხოულობენ პედაგოგიურ სამუშაოზე დაბრუნებას.

„ომსკაია პრავდა".

ქ უ თ ა ი ს ი

წელს ქუთაისის რაიონში ფართო მუშაობა გაჩაღებულია მთა-გორიან ადგილებში გზების გასაყვანად. წყალტუბო — ცხუკური — ღვედის გზატკეცილი რეკონსტრუირებულია 28 კილომეტრზე. ამ გზით გამოაქვთ ბარიტი ღვედის ახალი საბადოდან. წყალტუბო — ღვედის გზის რეკონსტრუქციაზე ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯა.

ორ მილიონზე მეტი იხარჯება წელს წყალტუბოს გზატკეცილის, ოსეთის სამხედრო გზის ნაწილისა და ზეკარის გზისათვის. გაფართოებულია გზა ზეკარის გადასავალზე, რაც მნიშვნელოვნად ადვილებს მოძრაობას.

დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა ქუთაის-ტყიბულის ახალი გზის გასაყვანად. გზის მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება.

○

დამთავრდა ლიკვიდირებულ საბჭოთა მეურნეობების მიწების კოლმეურნეობებისათვის გადაცემა. სულ ქუთაისის რაიონში კოლმეურნეობებს გადაეცა 700 ჰექტარი ფართობი, აქედან მაღლაკის კოლმეურნეობამ მიიღო 157 ჰექტარი და 40 სული პირუტყვი ყოფილი წყალტუბოს ლიკვიდირებულ საბჭოთა ფერმიდან. სოფ. ფარცხანაყანევის კოლმეურნეობამ „ძალა ერთობაშია" მიიღო 175 ჰექტარი საუკეთესო სახნავი მიწა, ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ — 128,9 ჰექტარი ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ — 111 ჰექტარი და სხვ.

○

ქუთაისის საკონსერვო ქარხანა შეუდგა ხილის და ხაშის კონსერვების გამოშვებას, დაწყებულია სამზადისი ინდოურის და ქათმის საცივის და ჩახოხბილის კონსერვების დასამზადებლად. მეოთხე კვარტალში ქარხანა გამოუშვებს 350 ათას ქილა ასეთ ნაწარმს.

ამას გარდა, ქარხანა შეუდგა ცუკატის გამოშვებას, ნახევარ — ფაბრიკატი ლეღვი, ქომში, მსხალი, საზამთრო, ხეჭეჭი უკვე დამზადებულია.

○

ოქროს მრეწველობის ტრესტის ქუთაისის კანტორა შეუდგა ხილის დამზადებას ოქროს მრეწველობის მუშებისათვის. ხილის გადასამუშავებლად ქუთაისში მოწყობილია მურაბის ფაბრიკა. უკვე დამზადებულია და ამ დღეებში გაიგზავნება 150 ტონა მურაბა და 120 ტონა ხილი. ფოთის სალიცარს გასაცვლელად გაეგზავნა 150 ტონა ხილი. ოქტომბრის დამლევს ოქროს სარეწაოთა მუშებისათვის გაიგზავნება 100 ტონა ვაშლი.

სულ ამიერ-კავკასიაში ოქროს მრეწველობის მუშებისათვის დამზადებული იქნება 250 ტონა მურაბა, 3,200 ტონა ხილი, 1,100 ტონა საკომპოტე ნარევი და 320 ტონა გაფინული ხილი.

მანქანები მევენახეობა-მეღვინეობისათვის

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში ამჟამად ამუშავებენ ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის რეკონსტრუქციის გეგმას. რეკონსტრუქციის შემდეგ ქარხანა გამოუშვებს მხოლოდ იმ მანქანებს, რომლებიც საჭიროა მევენახეობა - მეღვინეობაში (ყურძნის საწნეხები, ვაზის შესაწამლი აპარატები, ფილტრები და სხვ.)

მომავალ 1937 წელს დამთავრდება ქარხნის რეკონსტრუქცია და მისი მოწყობილობების გადაკეთება. ხოლო 1938 წლიდან რეკონსტრუირებული ქარხანა უკვე შეუდგება მუშაობას.

ქარხნის რეკონსტრუქციისას, გადაწყვეტილია ქარხანაში მომუშავე ორი ინჟინრის გაგზავნა საფრანგეთში იქაურ მევენახეობა - მეღვინეობაში სახმარებლად შემოღებული ახალ მანქანათმშენებლობის გასაცნობად.

ქარხნის რეკონსტრუქციისათვის საჭირო თანხები ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს შეაქვს 1937 წლის საკონტროლო ციფრებში.

85 ათასი წყვილი ფეხსაცმელი

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფეხსაცმლის ფაბრიკებმა წარმატებით დაამთავრეს ფეხსაცმლის გამოშვების სექტემბრის გეგმა. ტფილისის № 2 ფაბრიკამ გეგმა შეასრულა 102,8 პროცენტით; № 1 ფაბრიკამ —112 პროცენტით, ქუთაისის ფაბრიკამ—122,8 პროცენტით.

სამივე ფაბრიკამ სექტემბერში გეგმით გათვალისწინებული 77.116 წყვილი ფეხსაცმლის ნაცვლად გამოუშვა 85.869 წყვილი (საქინ).

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

# კონტრაბანდისტები. მილიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა პურის საცხობის მუშის მ. ბალდასაროვის ბინაში (ნახშირის ქ. № 7) აღმოაჩინეს „თამბაქოს არალეგალური ფაბრიკა". ბალდასაროვს უპოვეს 45 კილოგრამი ფოთლოვანი თამბაქო და თამბაქოს საჭრელი სპეციალური დაზგა. ნაწილი თამბაქოსი უკვე დაჭრილი იყო. თამბაქო სასპეკულაციოდ უნდა გამოეტანათ. იქვე შეიპყრეს ბალდასაროვის თანამონაწილე მ. ალავერდოვა (ნახშირის ქ. № 7). თამბაქოს კონფისკაცია უყვეს. ბალდასაროვს და ალავერდოვას პასუხისგებაში აძლევენ.

ავტომანქანა № 6-82-ის შოფერმა გ. მ. დოშოიანმა დაარღვია ტრამვაის ვაგონის გასწრების წესი და მკვეთრად მოაბრუნა საჭე, რის შედეგადაც მანქანაში მჯდომი „ინუმშენის" მუშა ტ. პოდვალნიკი ქვაფენილზე გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. შოფერს პასუხისგებაში აძლევენ.

კ რ ე ბ ე ბ ი

7 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში გაიმართება ლენინგრადელი პოეტის ნ. ზაბოლოცკის შემოქმედებითი საღამო, სადაც განხილული იქნება პოეტის მიერ შესრულებული ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშების თარგმანები.

თვითმფრინავის დატვირთვა საკვები პროდუქტებით მთათუშეთში მომწყვდეული მწყემსებისა და პირუტყვისათვის მაღლიდან ჩამოსაყრელად.

ფოტო ი. ტორის

ორდენოსანი მფრინავი ამხ. შ. ჭანკოტაძე, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მწყემსების და პირუტყვის გადარჩენის ოპერაციებში.

ფოტო ი. ტორის

ბიბლიოგრაფია

ა. მიშულინი — სპარტაკის აჯანყება

ახლახან რუსულ ენაზე გამოვიდა ა. მიშულინის ისტორიული ნარკვევი ანტიური ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა და მონათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან.

თუმცა წიგნს სახელად „სპარტაკის აჯანყება" ჰქვია, მაგრამ ფაქტიურად ავტორი იძლევა ძველი რომის (პირველ საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეკონომიური განვითარების გზებს, მონათა კლასობრივ ბრძოლებთან დაკავშირებით.

ამ წიგნის გამოცემა ისტორიულ ფრონტზე მომუშავე ამხანაგების მიერ გამოჯავრებას წარმოადგენს და გამოხატავს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებათა განხორციელებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ამ დარგში.

მიუხედავად თემის სირთულისა, ავტორს კარგად აქვს საკითხები დალაგებული და გადაწყვეტილი მარქსიზმ - ლენინიზმის თვალსაზრისით.

როგორც ავტორი თავის მოკლე წინასიტყვაობაში აღნიშნავს, მისი შრომის საფუძველი და გამოსავალი წერტილი არის ამხანაგი სტალინის დებულება მონათა რევოლუციის შესახებ, წამოყენებული 1934 წ. დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე, სადაც ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „მონათა რევოლუციამ ლიკვიდაცია უყო მონათმფლობელებს და მოსპო მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა".

ამხანაგ სტალინის ამ გენიალურმა დებულებამ ერთბაშად შეიტანა გარკვეულობა ძველი, ანტიური ქვეყნების რევოლუციური მოძრაობათა კლასობრივი ბუნების შეფასების საკითხში. ამხანაგ სტალინმა თავის მოკლე წინადადებით თავდაყირა დააყენა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ძველი რომისა და საბერძნეთის ისტორიის შესახებ, რომელიც უფრო ზღაპრებს გადმოგვცემდნენ მის ალეგორიული ფორმაში, ვიდრე ნამდვილ ისტორიას.

როგორც ცნობილია, მონათა რევოლუციამ სპარტაკელ აჯანყებაში თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ეს მოძრაობა მთელი წლების განმავლობაში შიშის ზარსა სცემდა „უძლეველ შემძლე რომის იმპერიას", და შეიძლება თამამად ითქვას, რომ სპარტაკისა და სპარტაკელთა რევოლუციური მოძრაობის საკითხზე ასეთი პოპულარული და შინაარსიანი ნაშრომი ჯერჯერობით მეორე არ არის.

წიგნი შეიცავს ორ განყოფილებას: პირველში შედის ძველი რომის მეურნეობა, კლასები და კლასთა ბრძოლა, მონათა მდგომარეობა, მათი აჯანყებები, სპარტაკელი რევოლუცია, რესპუბლიკის დაცემა და სხვ. მეორე განყოფილებაში მოცემულია ფაქტები და დოკუმენტები ძველი რომის აგრარული მოძრაობისა და მონათა აჯანყებების შესახებ.

ამ მდიდარი მასალების დიდი მნიშვნელობა გარდა იმისა, რომ იგი იძლევა ავტორიტეტულ ფაქტებს (დედნების სახით), იმაშიაც მდგომარეობს, რომ რუსულ ენაზე იგი პირველად შეგვხვდება სისტემატური სახით.

ა. მიშულინის „სპარტაკელი აჯანყება" საჭიროა გამოიცეს ქართულ ენაზე.

არ. სტეფანიშვილი

სომხეთის არქიტექტორები ტფილისში

4 ოქტომბერს, ერევნიდან ტფილისში ჩამოვიდნენ სომხეთის არქიტექტორები, სომხეთის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. გ. ქოჩარის ხელმძღვანელობით. ჩამოსულთა ჯგუფში 10 არქიტექტორია. სტუმრებს სადგურზე შეხვდნენ საქართველოს არქიტექტორები და მათ შორის პროფ. გ. ჩუბინაშვილი, პროფ. ი. ყიფშიძე, ინჟ. ა. ქურდიანი და სხვ.

სომხეთის არქიტექტორები საქართველოში 10 დღეს დარჩებიან და ამ ხნის განმავლობაში გაეცნობიან საქართველოს ძველი ხუროთ-მოძღვრების ნიმუშებს და ახალ მშენებლობას.

4 ოქტომბერს საღამოს, საქართველოს არქიტექტორებმა სტუმრებს ამხანაგური შეხვედრა გაუმართეს.

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი

# სტალინური კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით, ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში უკვე შეგროვილია 1300 დამატება და წინადადება კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ.

# კაპიტალური რემონტის შემდეგ გაიხსნა გულრიფშის (აფხაზეთი) სანატორიუმი. სანატორიუმის ოთხივე შენობის რემონტსა და მოწყობაზე 500 ათასი მანეთი დაიხარჯა. ამჟამად სანატორიუმში 300 ავადმყოფი მკურნალობს.

# წელს იწყება კასპის ცემენტის ქარხნის რეკონსტრუქცია, რაც ერთ წელიწადში უნდა დამთავრდეს. რეკონსტრუქციის შემდეგ ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 2 მილიონ კასრ მაღალხარისხოვან ცემენტს.

# სასამსახურო მეძაღლეობის საკავშირო დათვალიერებასთან დაკავშირებით ტფილისში მოწვეულ საკავშირო თათბირზე ჩამოდის 150 დელეგატი ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან და დიდი ქალაქებიდან.

# გორში დაიწყო ფიზკულტურის ორსართულიანი დარბაზის მშენებლობა. დარბაზი მზად იქნება 1937 წელს. ამავე დროისათვის დამთავრდება ფიზკულტურის დიდი მოედნის მოწყობა.

სამოსამსახურო მეძაღლეობის საკავშირო დათვალიერება

პრაქტიკამ გამოარკვია, რომ კავკასიური ჯიშის ნაგაზი ყველა სხვა ჯიშის ძაღლზე უკეთესია, როგორც ამტანიანობის, ისე ჩვევების შეძენის მხრივ. ჩვენებური ძაღლები შესანიშნავად შეეთვისენ პოლარულ მხარეს და მათ ბევრჯერ ისახელეს თავი ჩვენი საზღვრების დაცვაში.

სურათზე: საუკეთესოდ გაწვრთნილი კავკასიური ნაგაზი—„საბრი" (ახალქალაქის რაიონიდან).

პოეტების თათბირი „კომუნისტის" რედაქციაში

8 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, გაზ. „კომუნისტის" რედაქციაში შესდგება საბჭოთა პოეტების თათბირი. თათბირს უნდა დაესწრონ: ს. აბაშელი, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, კ. ბობოხიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გორგაძე, რ. გვეტაძე, ი. გრიშაშვილი, ს. ეული, ა. იაშვილი, ტ. კალაძე, გ. კაჭახიძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, ნ. მიწიშვილი, ი. მოსაშვილი, პ. სამსონიძე, გალ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ს. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, გრ. ცეცხლაძე და კონსტ. ჭიჭინაძე.

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

აგიტატორთა კურსების მეცადინეობა (ყველა ჯგუფი). დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე „ლენინის და სტალინის მოძღვრება ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ". საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კომბინატი — კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე „სოციალისტური სახელმწიფო და მშრომელთა საბჭოები". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

6 ოქტომბერი ტელეფ. 3-50-64. პრემიერა

მუდმივი ადგილის ტალონი № 1 ზ. ფალიაშვილის

დაისი

ოპერა 3 მოქ.

მონაწილეობენ: ე. სოხაძე, ა. სტეფანიანი, დ. გამრეკელი, მ. კვარელაშვილი, ზ. სვანიძე, ე. ხამაშურიძე.

ცეკვაში მონაწ.: ლ. გვარამაძე, ვ. ბარბუდაროვი, ი. ქავთარაძე, ს. ნონიევი, ა. ჩიმლაძე, მ. ჩიხიშვილი.

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრი 1936-37 წ. სეზონი

6 ოქტომბერს	არსენა
8 ოქტომბერს	შემოდგომის აზნაურები
9 ოქტომბერს	შემოდგომის აზნაურები

სალარო ღიაა 12 საათიდან 8-ნახ. საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი 1936—37 წ. სეზონი

6 ოქტომბერს წარ. № 2	შორეული
8 ოქტომბერს წარ. № 3	შორეული
9 ოქტომბერს წარ. № 4	შორეული

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ბილეთების თეატრის სალაროში დილის 11—საღამოს 8—9 საათამდე

სახელმწიფო ცირკი ელბაქიძის დაღმ., 14 ტელ. 3-11-44.

5 და 6 ოქტომბერი

დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად

მრავალფეროვანი განახლებული პროგრამა

საღამოს დასაწყისი 8 საათსა და 30 წუთზე.

6 ოქტომბერს დღის წარმოდგენა მთელი დასის მონაწილეობით. ფასები დაკლებულია. დასაწყისი დღის 2 საათზე.

ამ დღეებში პირველი საბჭოთა მწვრთნელის გლადილშჩიკოვის ატრაქციონი- ლომები, დათვები, ვეფხვები, აფთრები, ძაღლები და სხვ.

50

მეუღლე მიხეილ მონასელიძე, შვილები ლევანი და დორა, და მარო სვანიძე, სიძე გიორგი ვეფხვაძე და რძალი ბაბიკო პაატაშვილისა იუწყებიან

ალექსანდრა სიმონის-ასული სვანიძე-მონასელიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღ. 7 საათზე, მუშტაიდის ქუჩა № 8. გამოსვენება 7 ოქტ. საღ. 5 საათზე.

მისამართები: რედაქციისა — ტფილისი. რუსთაველის პროსპექტი № 16; გამომცემლობისა — რუსთაველის პროსპექტი, № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორისა: 3—62—26; მოადგილეებისა: 3—63—03 და 3—08—67; სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულისა — 3—57—61; სასოფლო - სამეურნეოსი—3—73—40; მშრომელთა წერილებისა—3—73—24; გამომცემლობისა—ღამის რედაქტორისა — 3—26—67— ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", [illegible] № 63